დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ- ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ციალა გაგნიძე – ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;

წევრები:

დავით ჩოჩიშვილი – ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;
ირმა ქურდაძე – საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
თამარ შალვაშვილი – საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
სალომე ზარქუა – უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ეთერი ივანელაშვილი – ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
სალომე გოგალაძე – ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ბელა დურგლიშვილი – სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნატო გერგაია – მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
გიორგი კოპლატაძე – სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.
ნინო ჭიჭინაძე – ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	200007919

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	სამღერეთის ქ. N 3
საფოსტო ინდექსი	**0103**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://shorturl.at/HFHhC
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi190@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577940491

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**#MES 2 25 0000493491; 2025 წლის 06/05.**
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	**2025 წლის -03,04 ივნისი.**

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	თბილისი, სამღერეთის ქ.#3, ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	თბილისი, სამღერეთის ქ #3, ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	თბილისი, სამღერეთის ქ#3, ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სკოლაში შესვლისთანავე იგრძობოდა კეთილგანწყობა, სასკოლო ინფრასტუქტურა მოწესრიგებულია და სამუშაოდ ყველა პირობაა შექმნილი. კათედრებთან შეხვედრებისას, წარდგენილი დოკუმენტაციის კომენტირების დროს მასწავლებლებისგან ჩანდა მათი ჩართულობა პროცესებში. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადი იყო თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც სკოლის ძლიერი მხარეა. სკოლა სხვადასხვა დროს ჩართული იყო პროექტებში, რაც მას მეტად განვითარების საშუალებას აძლევს.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის გუნდს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა

ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში ბრძანების შესაბამისად განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან და მასწავლებლებთან. დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, თავიანთი საგნის ფარგლებში, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. სკოლა შეფასებულია როგორც სტანდარტებთან შესაბამისი და აქვს განვითარების მკაფიო ხედვა და მექანიზმები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამი დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.1.2.1.1	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისიობის გეგმით, ახალი სასწავლო წლისთვის, (15.09.2025) უზრუნველყოს სტატეგიული გეგმის სრულყოფილად სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა.**
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი ინდიკატორი N3.4.1.1	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო**	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით (30.06.2025-31.12.2025), სკოლასა და სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოს სტანდარტთან მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა.

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი 3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით (18.07.2025-15.09.2025), სკოლის მიერ გამოცხადებული ექიმის კონკურსის საფუძველზე უზრუნველყოს სტანდარტთან მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2-1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	**მათემატიკა** - სასურველია დაწყებითი საფეხურის (II; III; IVკლასები) კურიკულუმები ტექნიკურად გაიმართოს, რათა შემდგომში მასზე მუშაობა გამარტივდეს; სამიზნე ცნებებთან წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ქვეცნებები (I - IV კლასები)
ინდიკატორი N2.1.2-2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	**უცხოური ენები** სასურველია დაწყებით საფეხურზე ცნებათა რევიზი მომდევნო სასწავლო წლიდან და ადაპტაცია საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისად, რათა უფრო მეტად უზრუნველყოფილ იქნეს მოსწავლეთა ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესი.
ინდიკატორი N2.1.2-2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, სასკოლო კურიკულუმში, თემის ფარგლებში მოხდეს საკითხების უფრო დეტალურად ჩაშლა და დაკონკრეტება, თემების გადანაწილება მოხდეს საგნის წლიური საათების ჯამური რაოდენობის მიხედვით, სამიზნე ცნებებთან ერთად გაწერილი იქნას ის ქვეცნებები, რომელსაც კონკრეტული თემის ფარგლებში ამუშავებს პედაგოგი. სასურველია, კურიკულუმი ყველა გრაფა, სრულყოფილად იქნეს შევსებული.

ინდიკატორი N2.1.2-4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებული იქნას მისი სრულყოფილად შევსება, რაც გულისხმობს: საგნობრივი პედაგოგის მიერ დეტალურად უნდა იყოს გაწერილი თემის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ჩამონათვალი, მასთან მიმართებით სსსმ-მოსწავლის შესაძლებლობებზე მოდიფიცირებული დავალებები, თანდართული სასწავლო რესურსებით.
ინდიკატორი N2.2.2-1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში სრულყოფილად იყოს გაწერილი ძირითადი სასწავლო რესუსრსის დასახელება, რომელიც სკოლას აქვს არჩეული სწავლების სამივე საფეხურზე.
ინდიკატორი N2.2.2-1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.	**მათემატიკა** სასურველია დაწყებით საფეხურზე (I – V კლასები)სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას უფრო მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას math.ge -ზე განთავსებული რესურსები.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2-2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	**მათემატიკა** სასურველია საბაზო საფეხურზე (VIII კლასი) მკაფიოდ იყოს წარმოჩენილი შემოქმედებითი პროდუქტი, რისი მომზადებაც ევალება მოსწავლეს.
ინდიკატორი N2.1.2-4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებული იქნას მისი სრულყოფილად შევსება, რაც გულისხმობს: საგნობრივი პედაგოგის მიერ დეტალურად უნდა იყოს გაწერილი თემის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ჩამონათვალი, მასთან მიმართებით სსსმ-მოსწავლის შესაძლებლობებზე მოდიფიცირებული დავალებები, თანდართული სასწავლო რესურსებით.
ინდიკატორი N2.2.2-1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში სრულყოფილად იყოს გაწერილი ძირითადი სასწავლო რესუსრსის დასახელება, რომელიც სკოლას აქვს არჩეული სწავლების სამივე საფეხურზე.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2-2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** საშუალო საფეხურის XII კლასის საგნებისთვის ისტორია და საქართველოს ისტორია კურიკულუმებშ სასურველია დამუშავდეს სამიზნე ცნება ისტორიული წყარო, ხოლო სავალდებულო თემების რაოდენობა განისაზღვროს ისტორიის და საქართველოს ისტორიის საშუალო საფეხურის სტანდარტის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ დავალების იდეა/მიზანი - სვეტში მაგ. იკითხება ისტორიული წყაროების ანალიზის საფუზველზე ანალიტიკური ესსეს შექმნა.
ინდიკატორი N2.1.2-4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებული იქნას მისი სრულყოფილად შევსება, რაც გულისხმობს: საგნობრივი პედაგოგის მიერ დეტალურად უნდა იყოს გაწერილი თემის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ჩამონათვალი, მასთან მიმართებით სსსმ-მოსწავლის შესაძლებლობებზე მოდიფიცირებული დავალებები, თანდართული სასწავლო რესურსებით.

ინდიკატორი N2.2.2-1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში სრულყოფილად იყოს გაწერილი ძირითადი სასწავლო რესურსის დასახელება, რომელიც სკოლას აქვს არჩეული სწავლების სამივე საფეხურზე.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. დოკუმენტაციის დეტალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დასკვნის პროექტში ექსპერტების მიერ გამოვლენილი ხარვეზები, კერძოდ **ინდიკატორი N3.4.1.1** (მდგრადობის დასკვნის შესახებ) და **ინდიკატორი 3.4.1.2** (ექიმის ყოლის ვალდებულების შესახებ), სკოლის მიერ სათანადოდ არის გააზრებული. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც მიმდინარე წლის ბოლომდე უზრუნველყოფს მდგრადობის დასკვნის შესაბამისობაში მოყვანას. რაც შეეხება ექიმის ვაკანტურ პოზიციას, სკოლამ უკვე გამოაცხადა კონკურსი და უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას ახალი სასწავლო წლისთვის.

გარდა ამისა, რეკომენდაციებში რჩება **ინდიკატორი N1.2.1.2** (შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესახებ), რომლის შესაბამისობაში მოყვანას სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო წლის დაწყებამდე.

შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორები საბოლოო დასკვნაში მეტწილად წარმოდგენილია შესაბამისობაში და გაზიარებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლის მისია, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებისთვის თანამედროვე და მომავლის მოთხოვნების შესაბამისი ჰუმანისტური და საბუნებისმეტყველო განათლების მიცემაზე, სრულად შეესაბამება საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისია ხაზს უსვამს თანამედროვე და მომავლის მოთხოვნების შესაბამისი განათლების მიწოდებას, რაც გულისხმობს მოსწავლეების მომზადებას სამომავლო გამოწვევებისთვის. ჰუმანისტური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ანალიტიკური უნარების განვითარებას, რაც აუცილებელია წარმატებისთვის, ხოლო ზოგადი განათლების ეროვნული მიზანი, რომ სკოლამ მოამზადოს კონკურენტუნარიანი მოქალაქეები, რომლებსაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში და საერთაშორისო ასპარეზზე, სკოლა გამოხატავს მზაობას ხარისხიან განათლებაზე, რომელიც აღჭურავს მოსწავლეებს ცოდნითა და უნარებით, რათა მათ შეძლონ წარმატების მიღწევა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მშობლების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობას მოსწავლეების წარმატებისთვის, პასუხობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს სკოლის ხელშეწყობას მშობლის ჩართულობის შესახებ. სსიპ - ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლის მისია სრულად შეესაბამება საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. იგი მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც აუცილებელია მოსწავლეების ჰარმონიული განვითარებისთვის და მათი მომზადებისთვის თანამედროვე გამოწვევებისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ - თბილისის N190 საჯარო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლა საკუთარ როლს განსაზღვრავს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, სადაც თითოეული მოსწავლე, პედაგოგი და მშობელი აქტიური მონაწილეა სასკოლო საზოგადოების ცხოვრებაში.სკოლა საკუთარ თავს ხედავს, როგორც

სივრცეს, სადაც უსაფრთხოება და პოზიტიური გარემო უმთავრესი ღირებულებაა. ეს გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკური, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებას, რაც პიროვნული ზრდის საფუძველია. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები უზრუნველყოფს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულობას, ხოლო სამუშაო პრინციპები, როგორიცაა პროფესიონალიზმი, პატიოსნება, სხვათა შრომის პატივისცემა, მიუკერძოებლობა და ინოვაციურობა, ქმნის მყარ საფუძველს სკოლის, როგორც სოციო-კულტურული ცენტრის ფუნქციონირებისთვის. სსიპ - ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლა საკუთარ როლს განსაზღვრავს, როგორც უსაფრთხო, ინოვაციურ და ღირებულებებზე დაფუძნებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, სადაც თითოეული მოსწავლე იღებს პიროვნულ ზრდაზე ორიენტირებულ განათლებას და მზადდება თანამედროვე საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები კანონმდებლობის შესაბამისად, შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან (ოქმი #3) რომელიც თავისი შემადგენლობით უკვე წარმოდგენილია სასკოლო საზოგადების ყველა წევრისგან. სამეურვეო საბჭოს ოქმში ჩანს, რომ სკოლამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების გადახედვისა და შეთანხმებისთვის. ასევე წარმოდგენილია აღნიშნული სამუშაო ჯგუფის ოქმი, რომელიც კონკრეტულად შექმნილია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებისა და განხილვისთვის, ოქმში კი განხილულია აღნიშნულის შემუშავების პროცესი, ხოლო პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი #5) დამტკიცებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და შესაბამისია ინდიკატორთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლას აქვს 8 საგნობრივი კათედრა, რომელიც ჩართულია სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში და იზიარებს სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სასკოლო სასწავლო გეგმა კი დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (ოქმის#5). სკოლის მიერ წარმოდგენილი კითხვარების ნიმუშებში, რომელიც განკუთვნილია მოსწავლისთვის, ასევე მშობლისთვის შინაარსობრივად მოიცავს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების შესახებ შეკითხვებს - უზრუნველყოფს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამკვიდრებას სკოლაში გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე არა მარტო სხვადასახვა

სტრუქურული ერთეულების დოკუმენტაცია გაზიარებულია სკოლის მისია ხედვა, ღირებულებები არამედ სასკოლო დონეზე დანერგილია და ჩანს კონკრეტულ აქტივობებში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

სკოლაში შესვლისთანავე ვხვდებით სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებებს სკოლის დერეფანში. ასევე სკოლას ექსპერტთა ვიზიტის დროს უკვე ჰქონდა საკუთარი ვებ-გვერდი, სადაც დევს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია სკოლის შესახებ და მათ შორის სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები ხელმისაწვდომია სკოლის შენობაში სასკოლო საზოგადებისა და სკოლაში შემომსვლელი პირებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის სკოლის ვებ-გვერდზე. აღნიშნულიდან გამომდინრე **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სკოლის წესდების" მიხედვით, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ - ქალაქ თბილისისN190 საჯარო სკოლა" და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი #5;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #3;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი #2;
- კითხვარები;
- სკოლის ფილოსოფიის, მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სკოლის ფილოსოფიის, მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია აღწერს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს თანამონაწილეობის პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება ხდება სასკოლო საზოგადოების (დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) აქტიური ჩართულობით. სპეციალურად იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრები სწორედ ამ საზოგადოების წარმომადგენლები არიან. სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრება და ინტერესი იყოს გათვალისწინებული. სკოლა რეგულარულად აგროვებს ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებისგან დაწესებულების შიდა პროცესებისა და დამოკიდებულებების შესახებ. ამისთვის გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდები (მაგალითად, გამოკითხვები, ინტერვიუები). მიღებული ინფორმაცია მუშავდება და ხდება მისი ანალიზი (მათ შორის, SWOT ანალიზის გამოყენებით), რაც უზრუნველყოფს პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის შემდეგ, სამუშაო ჯგუფი აქტიურად იღებს უკუკავშირს სასკოლო საზოგადოებისგან, ისმენს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში ასახავს

მათ საბოლოო დოკუმენტებში. ეს უზრუნველყოფს, რომ მიღებული გადაწყვეტილებები რეალურად პასუხობდეს საზოგადოების ინტერესებს. სკოლა მუდმივად უზიარებს ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების წევრებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს სხვადასხვა არხით: ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები, საჯარო განხილვები, საინფორმაციო დაფები. ასევე, ყოველწლიურად და ყოველ სამ წელიწადში მზადდება ანგარიშები სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების შესახებ, რომლებიც საჯაროდ ქვეყნდება .სამუშაო ჯგუფი გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სხდომები შეიძლება დისტანციურადაც ჩატარდეს. ყველა გადაწყვეტილება და განხილვა ფორმდება ოქმებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას. სკოლა ყოველწლიურად ახორციელებს SWOT ანალიზს და მიღებული შედეგების საფუძველზე ადგენს ახალ სამოქმედო გეგმებს.

ეს ციკლური მიდგომა უზრუნველყოფს, რომ პრიორიტეტები და ინტერესები მუდმივად იყოს განახლებული და ადაპტირებული მიმდინარე საჭიროებებთან. სკოლა პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას უზრუნველყოფს თანამონაწილეობითი, გამჭვირვალე და ციკლური მექანიზმებით, სადაც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღების, ინფორმაციის გაზიარებისა და უკუკავშირის პროცესში. ეს ქმნის საფუძველს, რომ სკოლა იყოს რეალურად საზოგადოების საჭიროებებსა და მოლოდინებზე ორიენტირებული ორგანიზაცია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში წარმოდგენილი იყო სსიპ - ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმის პროექტი (2025-2032 წწ, რომელიც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას. გეგმა გაწერილია წლიურად, ციკლურად, რაც საშუალებას იძლევა პერიოდულად მოხდეს მისი გადახედვა და განახლება, როგორც ეს დოკუმენტის შესავალშიცაა აღნიშნული. გეგმა მიზნებსა და ამოცანებს უკავშირებს სკოლის მისიასა და ხედვას. ძირითადი მიზნებია:

- მაღალი აკადემიური ცოდნის, კრიტიკული აზროვნებისა და ჯანსაღი ღირებულებების მქონე პიროვნებების აღზრდა.
- მასწავლებელთა პროფესიული ზრდა.
- მოსწავლეთა უნარების განვითარება, დამოუკიდებელი მუშაობის ხელშეწყობა.
- შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა.
- უსაფრთხო და მრავალფეროვანი გარემოს შექმნა.

- სასკოლო საზოგადოების გააქტიურება.

ამ მიზნების მისაღწევად გაწერილია კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ყოველწლიურად დეტალურადაა გაწერილი ცხრილებში (მაგალითად: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, მოსწავლეთა მხარდაჭერა და ა.შ.).წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა იყოფა სტრატეგიულ მიმართულებებად, თითოეულს აქვს შესაბამისი მიზნები და ამოცანები, რომლებიც მისიისა და ხედვის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. მაგალითად:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება (ახალი პროგრამების დანერგვა, მონიტორინგი, მოტივაციის გაზრდა).
- ადამიანური რესურსის განვითარება (კადრების მოზიდვა, კვალიფიკაციის ამაღლება).
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
- უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.
- მოსწავლეთა მხარდაჭერა.
- ორგანიზაციული განვითარება.

ხოლო SWOT ანალიზი უზრუნველყოფს სტრატეგიის ციკლურობასა და ადაპტირებადობას გარემოს ცვლილებებთან.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტატეგიული გეგმის პროექტი არის შვიდწლიანი, ციკლური, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, ხოლო მიზნები და ამოცანები მისიისა და ხედვის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. თითოეული სტრატეგიული მიმართულება გაწერილია დეტალურად, წლიური ამოცანებით, რაც უზრუნველყოფს გეგმის სისტემურობასა და მისიისადმი შესაბამისობას. თვითშეფასებასთან ერთად სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც სკოლა გამოხატავს მზაობას სასწავლო წლის დაწყებისთანავე 2025 წლის 15 სექტემბრისთვის დამტკიცებული ექნება სკოლის განახლებული და სრულყოფილი სტატეგიული გეგმა. ამავდროულად, ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ მატერიალური სახით წარმოადგინა 2022-2028 წლის სტატეგიული გეგმა.სკოლის დირექციასთან ინტერვიურებითა და სკოლის თვითშეფასებიდან გამომდინარე დაზუსტდა, რომ სკოლა განახლებული სტატეგიული გეგმით დაიწყებს ახალი სასწავლო წელს. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული არსებული სტატეგიული გეგმა არის ექვსწლიანი და სკოლამ წარმოადგინა შესაბამსობის გეგმა თვითშეფასებასთან ერთად ექსპერტთა გუნდი დაეთანხმა შესაბამისობის გეგმას ინდიკატორი არის მეტწილ შესაბამისობაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისიობის გეგმით, ახალი სასწავლო წლისთვის, (15.09.2025) უზრუნველყოს სტატეგიული გეგმის სრულყოფილად სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა.

ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გაწერილია კონკრეტული ვადებითა და აქტივობებით. იგი ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, ასახავს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს, გაწერილია კონკრეტული მიზნები, ამოცანები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსები და შესრულების ინდიკატორები, უზრუნველყოფს გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. თვითშეფასებასთან ერთად სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც სკოლა გამოხატავს მზაობას სასწავლო წლის დაწყებისთანავე 2025 წლის 15 სექტემბრისთვის დამტკიცებული ექნება სკოლის განახლებული და სრულყოფილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ამავდროულად, ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ მატერიალური სახით წარმოადგინა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ანალოგიურად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს, სკოლის დირექციასთან ინტერვიურებითა და სკოლის თვითშეფასებიდან გამომდინარე დაზუსტდა, რომ სკოლას უკვე მზად აქვს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა, რომლითაც იმუშავებს სექტემბრიდან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს. თითოეული მიმართულება (მაგალითად, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და სხვ.) გაწერილია კონკრეტულ აქტივობებად, რაც უზრუნველყოფს მიზნების პრაქტიკულ განხორციელებას.

გეგმაში თითოეულ აქტივობას ახლავს შესრულების ინდიკატორები და მტკიცებულებები, როგორიცაა:

- ოქმები (საგნობრივი კათედრის, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს),
- ანგარიშები,
- ფოტო-ვიდეო მასალა,
- შეფასების შედეგები,

- მიღება-ჩაბარების აქტები,
- კითხვარების ანალიზი და სხვა.

ინდიკატორები კონკრეტულად განსაზღვრავს, როგორ მოხდება აქტივობების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. გეგმა გაწერილია ერთწლიანი ციკლის მიხედვით და თითოეული აქტივობისთვის მითითებულია შესრულების ვადები/თვეები, რაც უზრუნველყოფს პროცესის დროულობას და ეტაპობრივობას. თითოეულ აქტივობას ჰყავს პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული, მაგალითად:

- დირექტორი,
- დირექტორის მოადგილე,
- საგნობრივი კათედრები,
- ბუღალტერი,
- სამეურვეო საბჭო,
- მანდატური,
- ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი,
- ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები და ა.შ

რესურსები განაწილებულია თითოეული აქტივობისთვის:

- ადამიანური რესურსი,
- მატერიალური რესურსი,
- ფინანსური რესურსი,
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსება და ა.შ

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში გაწერილი ვადები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები, რესურსები რეალისტურია და აკმაყოფილებს ინდიკატროის მოთხოვნას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- კითხვარები;
- სკოლის ფილოსოფიის, მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ - ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი მოიცავს როგორც მონიტორინგის, ისე შეფასების მექანიზმებს. ეს მექანიზმები გაწერილია როგორც სტრატეგიული, ისე ერთწლიანი სამოქმედო გეგმისთვის.
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ, ზრდის საზოგადოების ჩართულობას და პასუხისმგებლობას. მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის გზები, რომელსაც ახორციელებს სკოლის სამეურვეო საბჭო, ხოლო ანგარიშგებისთვის წლის ბოლოს პასუხისმგებელი პირები წარადგენენ წერილობით ანგარიშებს შესრულებული სამუშაოს შესახებ.
რაც შეეხება შეფასების მექანიზმებს, ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება სპეციალური ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით.

- თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“.
- ანგარიშები საჯაროა და განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე.
- შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტი ხაზს უსვამს ციკლურობას: ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ტარდება SWOT ანალიზი, რომლის საფუძველზეც იგეგმება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა. მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც სტრატეგიული, ისე სამოქმედო გეგმების გადახედვისთვის და კორექტირებისთვის. მონიტორინგისა და შეფასების

პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, ანგარიშები საჯაროა, გამოიყენება სხვადასხვა კომუნიკაციის არხი (ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები, საჯარო განხილვები). სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს როგორც მონიტორინგის, ისე შეფასების დეტალურ მექანიზმებს, ეს კი უზრუნველყოფს სტრატეგიული მართვის პროცესის გამჭვირვალობას, ეფექტურობასა და უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება არის სისტემური და რეგულარული პროცესი.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება როგორც შიდა (სამეურვეო საბჭო, სხვა სტრუქტურული ერთეულები/პასუხისმგებელი პირები), ასევე გარე (სასკოლო საზოგადოება, დაინტერესებული მხარეები) ჩართულობით. ანგარიშგების პროცესი მოიცავს წერილობით ანგარიშებს, რომლებიც წარედგინება სამეურვეო საბჭოს და საჯაროდ ქვეყნდება. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სამუშაო ჯგუფი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასთან, ისმენს მათ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების ასახვას საბოლოო დოკუმენტებში. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას ტარდება გამოკითხვები, ინტერვიუები, გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდები. დოკუმენტი ხაზს უსვამს თანამონაწილეობას: სტრატეგიული დაგეგმვა და მონიტორინგი ხორციელდება სამუშაო ჯგუფის ფორმატში, რომელშიც მონაწილეობენ სკოლის დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და სხვა დაინტერესებული მხარეები.ანგარიშები და შეფასების შედეგები საჯაროა და ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდზე, ელექტრონული ფოსტით, სოციალური ქსელებითა და საჯარო განხილვებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასევე მათი შესრულების ანგარიშები, საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის სხვადასხვა არხით (ვებ-გვერდი, სოციალური ქსელი, საინფორმაციო დაფა და სხვ.), რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ რჩება მხოლოდ ანგარიშგების დონეზე, არამედ აქტიურად გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარების პროცესში:

ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე მუშავდება გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხი და ეს ინფორმაცია გამოიყენება ახალი სამოქმედო გეგმის/გეგმების განსაზღვრაში.

მაგალითად, ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ტარდება SWOT ანალიზი, რომლის საფუძველზეც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და განვითარების პერსპექტივების გამოვლენა, ასევე ცვლილებების საჭიროებების განსაზღვრა. SWOT ანალიზის შედეგები გამოიყენება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის., ხოლო მონიტორინგისა და შეფასების შედეგები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე.
ამ შედეგების საფუძველზე შესაძლებელია სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება, ანუ მიღებული გამოცდილება და შეფასება პირდაპირ აისახება სკოლის მომავალ გეგმებსა და განვითარებაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;

- 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   სკოლამ წარმოადგინა თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი როგორც სტრუქტურული ერთეულების, ასევე კონკრეტული პირთა (მაგალითად: სკოლის ექიმი, დარაჯი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში, სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, სსსმ პირის ასისტენტი) ფუნქციები, მოვალეობები და ანგარიშვალდებულებები. თითოეული პოზიციისთვის მოცემულია:

- ვის ექვემდებარება კონკრეტული პირი;
- რა არის მისი ძირითადი და დამატებითი ფუნქციები;
- რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია საჭირო;
- როგორია ანგარიშვალდებულების და მონიტორინგის მექანიზმები;

- რა წესით ხდება ინსტრუქციების დამტკიცება, ცვლილება და კონტროლი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

წარმოდგენილი თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი თითოეული სტრუქტურული ერთეულის და პირის ფუნქციები, პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები. ეს განაწილება უზრუნველყოფს, რომ ყველა ძირითადი და დამხმარე პროცესი სკოლაში იყოს გამართული და კოორდინირებული.

მაგალითად, დირექტორი და მისი მოადგილე პასუხისმგებელნი არიან სასწავლო პროცესის მართვაზე, მონიტორინგზე, სასწავლო გეგმის შემუშავებასა და პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე. სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი და სსსმ პირის ასისტენტი უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას და სასწავლო გარემოს ადაპტირებას. სკოლის ექიმი ზრუნავს მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე, პრევენციასა და უსაფრთხოებაზე, ხოლო დამლაგებელი და დარაჯი უზრუნველყოფენ ჰიგიენურ და უსაფრთხო გარემოს.

ამგვარი მკაფიო და დეტალური ფუნქციური განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის უწყვეტობას, ხარისხიანად განხორციელებას და თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობის გამიჯვნას. ასევე, უზრუნველყოფილია თანამშრომელთა შორის კოორდინაცია და ინფორმაციის გაცვლა, რაც კიდევ უფრო ზრდის პროცესების ეფექტიანობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;

- სკოლის საშტატო განრიგი;
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ჩანს, რომ პერსონალის მართვის ყველა ძირითადი პროცესი ეფუძნება როგორც საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ასევე სკოლის შიდა რეგულაციებსა და დადგენილებებს.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ზოგადი დებულებები მიუთითებს, რომ სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსის ჩატარება, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება, სამედიცინო და ინკლუზიური პერსონალის შერჩევა, ასევე სხვა პოზიციებზე მიღება, ყველა ეტაპი რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით და სკოლის შიდა წესებით. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პროცედურები, თანამშრომელთა ადაპტაცია, პროფესიული განვითარება, მოტივაცია და წახალისება, ასევე ეფუძნება სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რაც კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, მაგალითად, ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში ჩანს, რომ პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირება ხდება სამუშაოს კატეგორიის, ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე. სამეტაპიანი ადაპტაციის პროცესი ახალი თანამშრომლებისთვის, რაც

პრევენციული ხასიათისაა. ასევე სკოლის შინაგანაწესში დეტალურადაა გაწერილი დისციპლინური წარმოების, დარღვევებზე რეაგირების, პრევენციული ღონისძიებების გატარების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურები. ასევე, განსაზღვრულია პასუხისმგებლობები ბულინგის, დისკრიმინაციის, დესტრუქციული ქცევის, უსაფრთხოების და სხვა რისკების შემთხვევაში, რაც ასევე მიუთითებს საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმებზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც ეხება სკოლაში ვაკანსიის გამოცხადების ეტაპიდან კანდიდატის შერჩევის პროცესით დასრულებული ეყრდნობა ობიექტურობისა და გამჭირვალეობის პრინციპებს.სკოლა ვაკანსიას აცხადებს teacherjobs.ge საშუალებით, რომლითაც უზურუნვეკლყოფს ვაკანსიის შესაბამისი პირობების წარდგენას, კადრების მოზიდვას. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მაგალითად, სკოლის შინაგანწესით, თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტით, ახალი თანამშრომლის ადაპტირების დებულებით განსაზღვრულია პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ზოგადი ადმინისტრაციული წესები.ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა და გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები. დოკუმენტაცია სრულად იყო წარმოდგენილი, სრულად აკმაყოფილებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას, მათ შორის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამუშაო გამოცდილებას, ცნობებს ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს** სკოლაში დასაქმებულია 53 მასწავლებელი, რომელთაგან 38 არის უფროსი მასწავლებელი, 8 კი წამყვანი მასწავლებლის სტატუსს ფლობს. გარდა ამისა, სკოლაში მუშაობენ სპეციალური მასწავლებლები და მათი ასისტენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერას. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა და გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები. დოკუმენტაცია სრულად იყო წარმოდგენილი, სრულად აკმაყოფილებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას, მათ შორის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამუშაო გამოცდილებასა და სხვა შესაბამის

მონაცემებს. მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულად შეესაბამებოდა მათ საათობრივ დატვირთვას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან და ეფექტიან ორგანიზებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ თანამშრომელთა შერჩევა, პროფესიული განვითარება და სამუშაო გარემო ეფუძნება ობიექტურობას, გამჭვირვალეობას, კოლეგიურობასა და გუნდურობას. მაგალითად, კონკურსი ტარდება საკონკურსო კომისიის მიერ, რაც უზრუნველყოფს კოლეგიალურ გადაწყვეტილებებს. ასევე, პროფესიული განვითარების ნაწილში მითითებულია, რომ ტარდება სამუშაო პირობების შესახებ დასაქმებულთა აზრის კვლევა, იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები, იგეგმება გუნდური მუშაობის და არაფორმალური ურთიერთობების განმტკიცების ღონისძიებები. ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ ორგანიზაციული კულტურა ორიენტირებულია თანამშრომელთა ჩართულობაზე, გუნდურობაზე და თანამშრომლობის ხელშეწყობაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში არსებობს ისეთი პრაქტიკები, რომლებიც ხელს უწყობს წარმატებული გამოცდილების გაზიარებას (მაგალითად, ღია გაკვეთილები, გუნდური ღონისძიებები, კონსულტაციები, თანამშრომელთა წახალისება). ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში ჩანს, რომ სკოლაში ტარდება თანამშრომელთა მოტივაციისა და წახალისების სხვადასხვა ღონისძიება, იგეგმება და ხორციელდება გუნდური მუშაობის და არაფორმალური ურთიერთობების განმტკიცების ღონისძიებები, იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები, იგეგმება ღია და ინტეგრირებული გაკვეთილები. ეს ყველაფერი ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და თანამშრომელთა მიღწევების აღიარებას გუნდურ დონეზე. ასევე ექსპერთა ვიზიტისას ინტერვიურების დროს და სკოლის თვითშეფასებაში აღწერილია გასული სასწავლო წლის წამახალისებელი აქტივობები (ექსკურსიის დაფინანსება).

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ვაკანსიის მასალები;
- შრომითი ხელშეკრულებები;

- ახალი თანამშრომლის ადაპტირების წესი;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ- ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენის მექანიზმები ჩამოყალიბებულია როგორც სისტემური, ისე პრაქტიკული მიდგომების ერთობლიობად. დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი, რომ სკოლა რეგულარულად ახორციელებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებას სხვადასხვა ფორმით: ეს შეიძლება იყოს უშუალო ხელმძღვანელის შეფასება, თვითშეფასება, სასკოლო საზოგადოების მიერ სპეციალური კითხვარების შევსება, კრიტიკული შემთხვევების ანალიზი, სამუშაო ჯგუფის ან კომისიის მიერ შეფასება, ასევე სამუშაო პროცესზე დაკვირვება. ასეთი მრავალმხრივი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ თითოეული თანამშრომლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები დროულად გამოვლინდეს. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივ განვითარებას. პროფესიული განვითარების საჭიროებები იდენტიფიცირდება როგორც სამუშაოს კატეგორიისა და კონკრეტული ფუნქციის, ასევე ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზით. ამ

პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფს, რომელიც რეგულარულად ესწრება გაკვეთილებს, აფასებს საგაკვეთილო პროცესს და ამზადებს რეკომენდაციებს მასწავლებლებისთვის.

გარდა ამისა, სკოლაში ტარდება სამუშაო პირობების შესახებ დასაქმებულთა აზრის პერიოდული კვლევა და ანალიზი, რაც დამატებით საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს თანამშრომელთა საჭიროებები და დაიგეგმოს შესაბამისი პროფესიული განვითარების ღონისძიებები. ახალი თანამშრომლებისთვის მოქმედებს ადაპტაციის ეტაპები და მხარდაჭერის სისტემა, რაც უზრუნველყოფს მათ სწრაფ ინტეგრაციას და საჭიროებების ადრეულ გამოვლენას.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ შეფასების პროცედურები არის გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი, რაც ზრდის პერსონალის ჩართულობასა და მოტივაციას. პროფესიული განვითარების პროცესს მუდმივად აკვირდება ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც აფასებს მიღწეულ შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს რეკომენდაციებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ტარდება სამუშაო პირობების შესახებ დასაქმებულთა აზრის პერიოდული კვლევა და ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს თანამშრომელთა საჭიროებები.
ასევე, რეგულარულად განიხილება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდებისა და შესაბამისი პროცედურების ეფექტიანობა, საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ადამიანური რესურსის სტაბილურობისთვის შესაბამისი რეკომენდაციები, იგეგმება და ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის, არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას და პროფესიულ ზრდას, ხოლო სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია ადამიანური რესურსის განვითარების ცალკე ბლოკი: აქ მოცემულია როგორც სტრატეგიული მიზნები, ასევე ამოცანები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები და ინდიკატორები/მტკიცებულებები. მაგალითად, პერსონალის მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესება, პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის დანერგვა, გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვა, თანამშრომელთა ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა, წახალისების სისტემის დახვეწა და ა.შ. ასევე სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევას (მაგალითად, კითხვარების ანალიზი, გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი, თანამშრომელთა

პირადი საქმეების ანალიზი, ტრენინგების გეგმის შედგენა). ასევე, პერიოდულად ტარდება მონიტორინგი, შეფასება და უკუკავშირის შეგროვება, რაც უზრუნველყოფს საჭიროებების დროულ გამოვლენას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ სკოლა აქტიურად მუშაობს პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობაზე. ეს გამოიხატება როგორც ფორმალური პროცედურების დანერგვაში (მაგალითად, მასწავლებლებთან და სკოლის დირექციასთან ინტერვიურების დროს ისაუბრეს გასულ სასწავლო წელს ჩატარებული სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების შესახებ: კომპიუტერული ტექნოლოგიების, გაკვეთილის დაგეგმვა.მართვის შესახებ) შეფასება, ტრენინგები, წახალისება), ასევე არაფორმალური მიდგომების გამოყენებაში (მაგალითად, გუნდური მუშაობა, კონსულტაციები,ხოლო წარმოდგენილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, რადგან წარმოდგენილი პროგრამა:

- შეესაბამება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს;
- ითვალისწინებს აქტივობების აღწერას და ადგენს მონიტორინგის განხორციელების მექანიზმებს;
- შესრულების ანალიზი მოხდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, რის საფუძველზე ცვლილებები და დამატებები შევა სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამაში.

წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი მიზნები და აქტივობები მიმართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე, რაც პირდაპირ კავშირშია მათ კარიერულ ზრდასთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილი თანამშრომლის ადაპტაციის წესში დეტალურად არის აღწერილი ის ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების წარმატებულ ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. წესში გათვალისწინებულია როგორც ფორმალური პროცედურები (გაცნობა, ტრენინგი, დოკუმენტების შესწავლა), ასევე არაფორმალური აქტივობები (გუნდური მუშაობა, კორპორატიული ღონისძიებები, უკუკავშირი).ხოლო მისი პრინციპები და ამოცანები:

- ახალი თანამშრომლის სწრაფი და ეფექტური ადაპტაცია.

- სკოლის შინაგანაწესის, ტრადიციებისა და ღირებულებების გაცნობა.
- კოლეგებთან ეფექტური ურთიერთობების დამყარება.
- სამუშაო მოვალეობების წარმატებით შესრულებისთვის საჭირო უნარებისა და ცოდნის განვითარება.
- ახალი თანამშრომლის მოტივაციის ამაღლება და სკოლის გუნდის წევრად შეგრძნება. ემსახურება სამუშაოსთან ინტეგრაციის პროცესს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს დასაქმებულის წახალისების ფორმებს, როგორიცაა მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქარი, ერთჯერადი პრემია და დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა. წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო წახალისების ინიციატივა შეიძლება წამოიწყოს როგორც ადმინისტრაციამ, ასევე კათედრამ, პედაგოგიურმა საბჭომ ან სხვა შესაბამისმა ორგანომ. ხოლო ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში სისტემურად არის გაწერილი როგორც პოლიტიკის, ასევე პრაქტიკული მექანიზმების დონეზე. აქცენტი კეთდება როგორც პროფესიულ განვითარებაზე, ასევე მოტივაციისა და ინიციატივების წახალისებაზე. დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკას, განსაზღვრულია პროფესიული განვითარების მექანიზმები, გაწერილი წახალისების ფორმები, რაც თანხვედრაშია სკოლის შინაგანაწესთან, პოლიტიკის დოკუმენტი კი ეფუძნება სამართლიანობას, თანასწორობასა და დამსახურებაზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც ხელს უწყობს ინიციატივების წამოწყებასა და პროფესიულ ზრდას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის მართვის მექანიზმი;
- კითხვარები;

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები და პრინციპები, სისტემატურად არის აღწერილი მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები მკაფიოდ განსაზღვრული პროცესების ურთიერთკავშირი და მათი როლი დადგენილია ძირითადი პრინციპები: გამჭვირვალობა, მონაწილეობითობა, უწყვეტობა, ანგარიშვალდებულება. დოკუმენტი სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს და წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურ სისტემას,

რომელიც ეფუძნება PDCA (დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება, რეაგირება) მეთოდოლოგიას და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის სისტემატურ მართვას.

ინდიკატორი შესაბამსიობაშია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში იდენტიფიცირებულია და აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, მოიცავს სტრატეგიულ და წლიურ დაგეგმვას, ხარისხის უზრუნველყოფას, პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას, კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების ეტაპებს, სასწავლო პროცესის ორგანიზების ასპექტებს, საქმისწარმოებას, მატერიალური და ადამიანური რესურსების მართვას, მოსწავლისა და ბიბლიოთეკის სერვისებს, ფინანსური რესურსების მართვას, უსაფრთხოების უზრუნველყოფას, საზოგადოებასთან ურთიერთობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლამ წარმოადგინა განცხადებისა და საჩივრის განხილვის დებულება, რომელიც მოიცავს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისადმი მიდგომებს გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის პროცედურებთან დაკავშირებით. (თანამშრომლები, მოსწავლეები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები). დოკუმენტში განსაზღვრულია მკაფიო ვადები: მაგალითად, 10 სამუშაო დღე განცხადებისთვის, 1 თვე საჩივრისთვის,დეტალური რეკვიზიტები და მოთხოვნები ასევე ვადების გაგრძელების შესაძლებლობა გამართლებული მიზეზებით. მნიშვნელოვანია სამფაზიანი/სამდონიანი პროცედურა საჩივრის განხილვისთვის. კერძოდ, პირველადი განხილვა დირექტორის დონეზე, მეორადი განხილვა სამეურვეო საბჭოში, საბოლოო გასაჩივრება სასამართლოში.

ასევე სკოლის შინაგანაწესი სრულად უზრუნველყოფს საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემის არსებობას როგორც თანამშრომლებისთვის, ასევე მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის. პროცედურები დეტალურადაა გაწერილი, გათვალისწინებულია ყველა მხარის ჩართულობა, დროულობა და ობიექტურობა. ორივე დოკუმენტი თანხვედრაშია ერთმანეთთან და საქართველოს კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი შესაბამისიობაშია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის თანამშრომლების და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლა მიჰყვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ უსაფრთხოების წესებს. სკოლას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის

(რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პასუხისმგებელი პირი და სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები. სკოლის საზოგადოების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლა თავისი კომპეტენციის ფარგლებში სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის შესაბამის ადრესატებს, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ცხელი ხაზის ნომერი - 112. სკოლას ჰყავს მანდატურები.

ინდიკატორი შესაბამისიობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისიხს უზრუნველყოფის მექანზიმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა მშობელთან ურთიერთობის დებულება -კომუნიკაციის სტატეგია, რომელშიც ასახულია მშობლების ინფორმირება სხვადასხვა არხით, უკუკავშირის მიღებისა და რეაგირების მექანიზმები, დებულება ხაზს უსვამს მშობლების, როგორც სასკოლო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის, ჩართულობას სკოლის მართვის პროცესებში. მშობლებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საკონსულტაციო ორგანოებში, წარადგინონ ინიციატივები და მიიღონ პასუხი სკოლის ადმინისტრაციისგან. მშობელი, როგორც სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელი უზრუნველყოფილია ინფორმირებით, ხოლო სკოლა ამავე დებულებით მზაობას გამოხატავს უკუკავშირის მიღებისას რეაგირების მექანზიმების იმპლემენტაციით.

სკოლას აქვს მშობელთა სათათბირო, რომლის დებულებაც ანალოგიურ მექანზიმებს ითვალისიწინება. ასევე წარმოდგენილი კითხვარები, მიუთითებს უკუკავშირის მიღების იმპლემენტაციაზე.სკოლას აქვს აქტიური სოციალური ქსელი და საიტი, საიდანაც შეუძლია უკუკავშირის მიღება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულები, როგორიცაა სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კათედრები, თავისი ფორმატით წარმოადგენენ კოლეგიალურ ორგანოებს. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლაში წარმოდგენილია ყველა ის კოლეგიალური ორგანო, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა როგორც სასკოლო ცხოვრებაში, ასევე სკოლის მართვის პროცესებში. კანონმდებლობით გათვალისწინებული კოლეგიალური ორგანოების არსებობა და მათი უფლება-მოვალეობები სრულად უზრუნველყოფს ინდიკატორის შესაბამისობას. მაგალითად, როდესაც სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ - თავისი ფორმატით კოლეგიალური ორგანოა და შედგება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლისგან, ეს უკვე უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობას და ჩართულობას სკოლის ცხოვრებასა და მართვაში. ამრიგად, კოლეგიალური ორგანოების არსებობა და მათი აქტიური ფუნქციონირება სკოლის მართვის პროცესში ქმნის დემოკრატიულ და გამჭვირვალე გარემოს, სადაც ყველა მხარის ინტერესები და მოსაზრებები გათვალისწინებულია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთან ურთიერთობის სტატეგია;
- მშობელთა სათათბიროს დოკუმენტაცია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- კათედრის დებულება;
- კითხვარები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

ახლად რეაბილიტირებულ სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას ჰყავს მანდატური, რომელიც უზრუნველყოფს თავის საქმიანობის შესაბამისად მოსწავლეთა უსაფრთხოებას. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლაში სამედიცინო დახმარების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. ექსპერთა ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა მიმართვა გაგზავნილი უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ,

ხოლო შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების უფლებამოსილ ორგანოსთან გაგზავნილი მიმართვის მოლოდინის რეჟიმში იყო შემდგომი ნაბიჯების განხორციელებისთვის.სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური. სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურით, სასკოლო დოკუმენტაციაში გაწერილი რეგულაციებით, შინაგანაწესით და პასუხისმგებლობის გადანაწილებით სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ნებისმიერი პირის ფიზიკური უსაფრთხოება. სკოლას ჰყავს დარაჯი (სულ ორი). გარდა ამისა, სკოლა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. ამასთან, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების კონტროლს. კლასის დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია, რომ სწავლის დაწყებისთანავე კლასის დამრიგებლები ადგენენ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზს. მკაცრად კონტროლდება სკოლაში გარეშე პირთა შემოსვლაც. გარეშე პირთა სკოლაში შემოსვლა დაიშვება მხოლოდ დირექციასთან შეთანხმებით. სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი. სართულებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით (30.06.2025-31.12.2025), სკოლასა და სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოს სტანდარტთან მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა.

ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

ექპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა ექიმი, თუმცა გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია, სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით ისინი პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის მიმართავენ სასწაფო დახმარებას, ასეთის საჭიროების შემთხვევაში. სკოლას აქვს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით (18.07.2025-15.09.2025), სკოლის მიერ გამოცხადებული ექიმის კონკურსის საფუძველზე უზრუნველყოს სტანდარტთან მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა.

ინდიკატორი მეტწილად შესაბამიობაშია.

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ჰყავს 3 მანდატური, დარაჯი, აქვს ვიდეო -კამერები, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია როგორც საზოგადოებრივ წესრიგზე და უსაფრთხოებაზე, ასევე უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის შესასვლელსა და დერეფნებში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც იწვევს ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს ასოციაციას. ასევე სკოლას ყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, პირადი ასისტენტი დაა.შ. რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. იმგვარად იგეგმება აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. ამასთანავე, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი და მანდატური, რომლებიც ასევე ზრუნავენ სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში შესვლისთანავე თვალშისაცემია სანიტარულ-ჰიგიენური მაღალ დონეზე დაცული ნორმები. სკოლის ყველა სართულზე გათავსებულ საპირფარეშოებში (ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ბიჭებისთვის) დაცული იყო ყველა ჰიგიენური ნორმა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სკოლაში დასაქმებულნი არიან შესაბამისი პირები - 4 დამლაგებელი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეთა, თანამშრომელთა, მშობელთა პერსონალურ მონაცემთა დაცვას ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის

პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს კანონის შესაბამისად. პერსონალურ მონაცემები მუშავდება როგორც ავტომატური ისე არაავტომატური საშუალებების გამოყენებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლა იღებს შესაბამის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტების შესახებ. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, პროგრამაში (განათლების მართვის სისტემის მიერ ლიცენზირებული) არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. სკოლაში დაცულია, ინფორმაციული უსაფრთხოება, სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ტექნოლოგიურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლას კომპიუტერული სისტემები დაცული აქვს ანტივირუსული პროგრამებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანზიმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების დადგენა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა. სამომავლოდ სკოლაში იგეგმება სწავლის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ დეტალური ანალიზის და ანგარიშის შედგენა, რაც გამოყენებულ იქნება გამოვლენილი გამოწვევებისა და სისუსტეების გაუმჯობესებისთვის. სკოლაში დამკვირებული შეფასებების, უკუკავშირისისა და რეაგირების მექანიზმები იძლევა ინდიკატორის დადებითად შეფასების საშუალებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;

- უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;
- სართულებზე მორიგეობის გრაფიკი;
- ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული ინსტრუქცია;
- რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის ბრძანება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შეთანხმებული;
- ინფრასტუქტურის სააგენტოსთან მიღება-ჩაბარების აქტი და წერილი;
- სკოლის ფსიქოლოგის ხელშეკრულება;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება/სადამრიგებლო პროგრამა;
- დამლაგებლის ხელშეკრულება;
- პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს 10,064 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განთავსებულია 6,587.55 კვ.მ შენობა-ნაგებობები. საგანმანათლებლო პროცესისთვის სკოლას აქვს 30 საკლასო ოთახი, თითოეული აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით და სხვა საჭირო ინვენტარითა და თვალსაჩინოებებით.გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლაში ფუნქციონირებს დირექციის კაბინეტი, კანცელარია, სამედიცინო კაბინეტი, დარაჯის ოთახი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კეთილმოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ოთახი, რომელიც აღჭურვილია კოლბებით, ქიმიური ჭურჭლით და მულაჟებით. ფიზიკის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებისთვის გამოყოფილია სპეციალური ოთახი, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა ხელსაწყოებით. ასევე, სკოლაში არის რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, კვების ბლოკი და სხვა დამხმარე სივრცეები. ყველა ოთახი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით.სკოლა აღჭურვილია სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად საჭირო საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. მის საკუთრებაშია 43 კომპიუტერი და 68 ლეპტოპი, რომელთა უმეტესობა განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ხოლო ნაწილი – სკოლის სხვადასხვა სივრცეში. სკოლას აქვს 8 პრინტერი/ქსეროქსი და 15 პროექტორი. სამასწავლებლოში განთავსებულია მაგიდები, სკამები, კარადები და პრინტერი. სკოლას აქვს პიანინო და დინამიკები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიებების დროს. სპორტულ დარბაზში არის კალათბურთის და ფრენბურთის ბადეები, ფეხბურთის და კალათბურთის ბურთები, ბადმინტონის ჩოგნები, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა, ჭადრაკის დაფები და სხვა სპორტული ინვენტარი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა და შექმნილია უსაფრთხო გარემო. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112) და საევაკუაციო გეგმა. ყველა სართულზე განთავსებულია გოგონების, ვაჟების და მასწავლებლების სველი წერტილები. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი და გამწვანებული ეზო, თუმცა საჭიროებს სკოლის უკანა მხარეს მორღვეული ღობის სასწრაფო შეკეთებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით, სადაც გამოკრულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული რესურსების გამოყენების წესები.

პედაგოგები იყენებენ სამასწავლებლოს, კომპიუტერულ ლაბორატორიასა და ბიბლიოთეკას საკუთარი იდეებისა და ინიციატივების წარმოსაჩენად და განსახორციელებლად. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია ისარგებლოს სააქტო და სპორტული დარბაზებით, ბიბლიოთეკითა და მისი წიგნადი ფონდით, ასევე სკოლის მატერიალური ბაზითა და გარე სპორტული მოედნებით. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა, რომელთა რესურსების გამოყენება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია. გარდა ამისა, სკოლაში მოწყობილია რესურს-ოთახი, სადაც გამოკრულია ამ ოთახით მოსარგებლე მოსწავლეთა ინიციალებით სამუშაო საათები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3.სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ვიზუალური დათვალიერებით აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლო შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელებს. დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სკოლის ნებისმიერ წევრს შეუზღუდავად შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკით და მასში განთავსებული წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღიურად 09:00 საათიდან 17:00 საათამდე. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს და თანამშრომლებს ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, წასაკითხი მასალის შერჩევაში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ბიბლიოთეკის დოკუმენტ ბრუნვა მოწესრიგებულია და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისთვის. სკოლას აქვს შიდა სარგებლობისთვის განკუთვნილი მოძრავი პანდუსიდა უზრუნველყოფს გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების თავისუფალ და უსაფრთხო გადაადგილებას შენობაში.

გარდა ამისა, სკოლაში მოწყობილია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით ინკლუზიური და ადაპტირებული საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად. აღნიშნულ ოთახში განთავსებულია როგორც სასწავლო, ასევე დამხმარე საშუალებები, რომლებიც ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში. რესურს ოთახი უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ მუშაობას და წარმოადგენს უსაფრთხო და კომფორტულ სივრცეს მოსწავლეებისთვის.

ამ ეტაპზე სკოლაში არ ირიცხება ეტლით მოსარგებლე მოსწავლე

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას - დიდი და ნათელი საკლასო ოთახები, ნათელი დიდი დერეფანი, დიდი ეზო, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, კომპიუტერების კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საგამოფენო სივრცე და სამუშაო სივრცეები სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის შესაძლებლობას ქმნის სკოლის ბაზაზე განხორციელდეს მრავალფეროვანი სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები (ფეისბუქ გვერდიდან და ფოტო მასალიდანაც ჩანს რომ სკოლაში მრავალფეროვანი აქტივობები და ღონისძიებები ტარდება)

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები
3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესის ეფექტიან და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის წარმართვას. სკოლაში ფუნქციონირებს 68 ლეპტოპი, 43 პერსონალური კომპიუტერი, 15 პროექტორი და 8 პრინტერი, რაც საშუალებას აძლევს როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებსა და

ადმინისტრაციულ პერსონალს, საჭიროებისამებრ გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის. ყველა ეს ტექნიკური საშუალება განთავსებულია კეთილმოწყობილ, კომფორტულ და ვიზუალურად მიმზიდველ კაბინეტში, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს სასწავლო გარემოს ხარისხს. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტ კავშირით, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს როგორც სასწავლო რესურსებზე წვდომას, ისე ადმინისტრაციული პროცესების მართვას. მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად ისარგებლონ აღნიშნული ტექნოლოგიებით როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობისას. სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც აისახება როგორც ტექნიკური ბაზის განახლებაში, ისე ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის კომპიუტერები და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია, სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის და სკოლა უზრუნველყოფს მის თანაბარ ხელმისაწვდომობას. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები, ხოლო კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა დასაშვებია ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით 17:00 საათამდე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საქმისწარმოების წესი უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის პროცესის სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და ეფექტურობას. ეს ქმნის სამართლებრივად გამართულ და ორგანიზებულ ადმინისტრაციულ გარემოს. დოკუმენტი განსაზღვრავს საქმისწარმოების წესებს, რომლებიც ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. მითითებულია, რომ ყველა პროცედურა და დოკუმენტბრუნვა უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მატერიალური საქმისწარმოებისთვის აუცილებელი ჟურნალები სრულად არის შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესების ყოველდღიურ რუტინაში განხორციელებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქმისწარმოებათან დაკავშირებით, სკოლა იყენებს E-flow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. სკოლას აქვს ვებ-გვერდი - სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით (ESCHOOL), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი და დეტალურად შევსებული პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რაც უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესების გამჭვირვალობასა და ეფექტიან მართვას. Eschool-ის ბაზაში სრულად არის ასახული სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების მონაცემები, მათ შორის თითოეული კლასის შემადგენლობა, მოსწავლეთა მობილობის ისტორია, დონის დაძლევის შედეგები, მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცედურები, ასევე სახელმძღვანელოების არჩევის და განაწილების დეტალები.

გარდა ამისა, სისტემაში რეგულარულად განახლდება ინფორმაცია როგორც მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ისე მათი დასწრების, ინდივიდუალური საჭიროებებისა და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრების შესახებ. ეს მონაცემები საშუალებას აძლევს სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებსა და შესაბამის სტრუქტურებს, დროულად მიიღონ გადაწყვეტილებები როგორც სასწავლო პროცესის, ისე მოსწავლეთა ინდივიდუალური მხარდაჭერის მიმართულებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აწვდის საჭირო ინფორმაციას, უკუკავშირს და ანგარიშებს.კერძოდ, სკოლა აქტიურად თანამაშრომლობს გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან გარდა აღნიშნულისა, სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს და საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- მატერიალური ჟურნალები;
- E-flow;
- Eschool.emis.ge სკოლის პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი: https://shorturl.at/HFHhC, სადაც განთავსებულია კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე სკოლის სხვადასხვა აქტივობის ამსახველი მასალები. გარდა ამისა, სკოლას აქვს საკუთარი Facebook გვერდი, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე და უკვე განხორციელებული პროექტების, სასწავლო და ინტელექტუალური ღონისძიებების, კონკურსებისა და ოლიმპიადების შესახებ. სოციალურ ქსელში შექმნილია სპეციალური ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლებისათვის), რომელთა მეშვეობით წევრები იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. სკოლის სოციალური ქსელი ღიაა, საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ მონაცემები განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელსაც შესაბამისი მასწავლებლები და მშობლები იყენებენ. ინფორმაციის გაცვლა, მიღება და დამუშავება ასევე ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის მართვაზე პასუხისმგებელია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია ამ სივრცეებში იყოს დროულად და სწორად განთავსებული.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობებისა და მიღწევების შესახებ. ეს ინფორმაცია არის ზუსტი და სანდო, რასაც ადასტურებს შესაბამისი ფოტომასალა (რომელიც ქვეყნდება მშობლების თანხმობით) და სხვადასხვა ღონისძიებების, პროექტებისა თუ შეჯიბრებების დოკუმენტური დასტურები. სკოლის ადმინისტრაცია სრულ პასუხისმგებლობას იღებს იმაზე, რომ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია იყოს უტყუარი და შეესაბამებოდეს რეალობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ აქტიურად მართავს კომუნიკაციას როგორც მშობლებთან, ისე მოსწავლეებთან — იქნება ეს მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები თუ სხვა ფორმატი. დირექცია მუდმივად იღებს მათგან უკუკავშირს და ამ ინფორმაციას იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. სკოლა ღიაა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის და მიღებულ უკუკავშირს იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა ახლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს და ამ ეტაპზე აყალიბებს სისტემურ ცვლილებებს, უკუკავშირის შედეგების პრაქტიკული ასახვა

მოსალოდნელია უახლოეს მომავალში. ექსპერტთა ჯგუფმა უკვე იხილა ეს ცვლილებები დოკუმენტურად, თუმცა მათი ეფექტი სრულად გამოჩნდება შემდგომ პერიოდში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი - https://shorturl.at/HFHhC, რომელზედაც მუდმივად ხდება ინფორმაციის განახლება და სიახლეების გამოქვეყნება. ვებ-გვერდი არის ქართულენოვანი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია მოიავს: სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სტრუქტურას. პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები და ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებს, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისებს, გასაჩივრების მექანიზმებს, საკონტაქტო ინფორმაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- ელექტრონული ჟურნალი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა მიზნად ისახავს ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, რათა ყველა მოსწავლეს ჰქონდეს თანაბარი წვდომა ხარისხიან განათლებაზე. ბიუჯეტის დაგეგმვისას, სკოლა ითვალისწინებს მოსალოდნელ შემოსავლებს, პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროგნოზირებულ ხარჯებს, წინა წლის ანალიზს და საბიუჯეტო პროცედურებს. სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება სკოლის შემოსავლების ძირითადი წყაროა, სკოლა ახერხებს დამატებითი სახსრების მოზიდვას ეკონომიკური საქმიანობიდან და მათ მიმართვას სკოლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სკოლის ბიუჯეტი უზრუნველყოფს დასახული სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ვაუჩერული დაფინანსების დიდი ნაწილი მიმართულია პერსონალის შრომის ანაზღაურებასა და კომუნალური გადასახადების დაფარვაზე. ბიუჯეტი ასევე მოიცავს საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების შეძენისათვის საჭირო თანხებს, ინდივიდუალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის საჭირო რესურსების ფინანსურ უზრუნველყოფას და სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისათვის. სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხები სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების სრულ მართვას, რაც მოიცავს დაგეგმვას, კორექტირებას, განაწილებასა და კონტროლს. კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლის სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ მომავალი წლის ბიუჯეტს. ბიუჯეტის შემუშავებისას გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და საჭიროებები, რაც აისახება როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების ნაწილში. სასწავლო წლის განმავლობაში, ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილების გამო, ხშირად დგება ბიუჯეტში კორექტივების შეტანის აუცილებლობა. ბიუჯეტის ცვლილებები ხორციელდება დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განხილვის საფუძველზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის დოკუმენტაცია;
- სამოქმედო გეგმა;
- ბიუჯეტის ცვლილების ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მიერ წარმოიდგენილ სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის კანონით გათვალსიწინებული უფლებების დაცვასა და შესაბამისი გარანტიები. განსაზღვრულია ბულინგისა და დისკრიმინაციის შემთხვევებზე სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების პასუხისმგებლობა, რაც უზრუნველყოფს რეაგირებას მოსწავლის უფლებების დარღვევისას. გაწერილია მოსწავლის გაკვეთილებიდან გათავისუფლების წესი, რომელიც მშობლის ან ექიმის რეკომენდაციით ხდება და მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით. დოკუმენტში მოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სამართლიან და თანმიმდევრულ მიდგომას ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში. შინაგანაწესში ყურადღება ეთმობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლების უფლებებს. გაწერილია დისკრიმინაციის აკრძალვა ყველა ნიშნით (მათ შორის, სქესი, ასაკი, რელიგია, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა), რაც მოსწავლის უფლებების დაცვის ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა, ხოლო განცადებისა და საჩივრის დებულება დეტალურად განსაზღვრავს საჩივრის განხილვის პროცედურებს, ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს, რაც მოსწავლეს (და მის მშობელს) აძლევს საშუალებას, დაიცვას თავისი უფლებები ადმინისტრაციული გზით. გაწერილია გასაჩივრების მექანიზმები, მათ შორის, დისციპლინური სახდელის დაკისრების გასაჩივრების წესი და ვადები. უზრუნველყოფილია მოსწავლის (ან მისი წარმომადგენლის) უფლება, წარადგინოს საკუთარი მოსაზრება საჩივრის განხილვისას. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას სკოლის სამეურვეო საბჭოში, რაც დამატებითი გარანტიაა მოსწავლის უფლებების დაცვისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მშობელთან ურთიერთობის დებულება ხაზს უსვამს სკოლისა და მშობლის თანამშრომლობის მნიშვნელობას, მშობლის ინფორმირებას მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ, მშობლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და სკოლის ვალდებულებას, დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები. ასევე, დოკუმენტი ავალდებულებს სკოლას, მშობელს მიაწოდოს ინფორმაცია და უზრუნველყოს კომუნიკაცია სხვადასხვა არხით, რაც ხელს უწყობს რეგულაციების გაზიარებას და გამჭვირვალობას. სკოლის შინაგანაწესში ვხვდებით ანალოგიურ ინფორმაციას. სკოლის

შესასვლელში გამოკრულია მოსწავლის უფლებების დაცვის რეგულაციები, რომელიც ხელმისაწვდომია სკოლაში შემსვლელი ნებისმიერი პირისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის მოსწავლის მშობელთან კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია სკოლის სხვა დოკუმენტებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მატერილური სახით შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით შერჩეული იყო რამდენიმე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და შესაბამისობაშია ინდიკატორთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლისა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის წესში“ აღწერილია გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში ყველა პროცედურა გაწერილია დეტალურად, გამჭვირვალედ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროცედურები არის მკაფიო, ეტაპობრივი და უზრუნველყოფს როგორც მოსწავლის, ასევე სკოლის ინტერესების დაცვას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სკოლის მიერ წარდგენილი მოსწავლის პირადი საქმეებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისია. ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგენილი მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობის წარმოდგენლი ბრძანებებით კი დგინდება, რომ სკოლა იცავს აღნიშნულ პროცედურებს და შესაბამისია ინდიკატორთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების ხელშეწყობასა და მოსწავლეთა უნარების განვითარებას. აღნიშნული პროექტები რეგულარულად შუქდება სკოლის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, რაც უზრუნველყოფს როგორც სკოლის საზოგადოების, ასევე ფართო აუდიტორიის ინფორმირებულობას და ჩართულობას. ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებით მომსახურებებს არ სთავაზობს,

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა წარმატებით უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობას, არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ეს ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას სკოლასა და საზოგადოებას შორის, უზრუნველყოფს თანასწორი შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას და ქმნის ინკლუზიურ გარემოს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის ბრძანებები;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- სკოლის ვებ-გვერდი/სოციალური გვერდი.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ - ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლესთან ადაპტაციის მექანიზმის დოკუმენტი დეტალურად აღწერს მოსწავლეთა ადაპტაციის წესებს და მექანიზმებს, რაც პირდაპირ ადასტურებს, რომ სკოლას გააჩნია მოსწავლის სასწავლო

გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. დოკუმენტი მოიცავს როგორც ზოგად პრინციპებს, ასევე კონკრეტულ ნაბიჯებსა და რეკომენდაციებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისა და საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. მაგალიათად,

- მასწავლებლის პოზიტიური დამოკიდებულება და პროფესიული უნარები;
- თამაშითა და ჯგუფური აქტივობებით ადაპტაციის ხელშეწყობა;
- მშობლისა და ფსიქოლოგის აქტიური ჩართულობა;
- სპეციალური ღონისძიებები ენობრივი ბარიერის ან კულტურული განსხვავებულობის შემთხვევაში;
- საორიენტაციო ვიზიტები სასკოლო გარემოს გასაცნობად;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა ტრანზიციის პერიოდში (მაგალითად, საფეხურიდან საფეხურზე გადასვლისას).დოკუმენტი არა მხოლოდ ასახავს მექანიზმებს, არამედ დეტალურად აღწერს მათ განხორციელების პროცედურებსაც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. საკლასო ოთახების ინვენტარი და ინტერიერი ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას. სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას საკლასო ოთახებში, სკოლის დერეფანებში იყო მოსწავლეების მიერ შექმნილი თემატური ნახატები, პოსტერები, აპლიკაციები. სადამრიგებლო მუშაობა მიმართულია მოსწავლეთა მხარდაჭერისაკენ. სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსოთახი, არაფორმალური ინტელექტუალური, სპორტული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ასევე სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში ხდება ისგ ჯგუფების შექმნა, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. სკოლა, ასევე უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ დასკვნის მომზადებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ სათანადო კონსულტირება და მხარდაჭერა მოსწავლეების მიერ გვხვდება წარმოდგენილ სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებში. მაგალითად, ,,დამრიგებლის დებულება“ ნათლად ასახავს, რომ სკოლაში არსებობს მექანიზმები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლისთვის აკადემიური მხარდაჭერისა და კონსულტაციის სისტემურ მიწოდებას. კლასის დამრიგებლის ფუნქციები და მოვალეობები პირდაპირ უკავშირდება მოსწავლის აკადემიური მიღწევების მონიტორინგს, პრობლემების იდენტიფიცირებას და შესაბამისი დახმარების გაწევას. გარდა იმ ვალდებულებებისა, რომელიც სადამრიგებლო საათის ფარგლებში გააჩნია დამრიგებელს დოკუმენტში ვკითხულობთ დამრიგებლის როლზე, როგორც აკადემიური, ასევე პიროვნული განვითარების ხელშეწყობაში, დეტალურადაა გაწერილი და მოიცავს როგორც პრევენციულ, ასევე რეაგირების ღონისძიებებს. დოკუმენტი ასახავს როგორც პროცესებს, ასევე პასუხისმგებლობებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მხარდაჭერას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. **მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დოკუმენტში** დეტალურად განსაზღვრავს, რომ მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართვისა და ადაპტაციის პროცესში სკოლა იღებს ვალდებულებას, დროულად და ეფექტურად მოახდინოს მოსწავლის საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ადაპტაციის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, სკოლა დაუყოვნებლივ აცნობებს მშობელს, საჭიროებისამებრ ერთვება სკოლის ფსიქოლოგი ან შესაბამისი სპეციალისტი, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში, სკოლა თანამშრომლობს მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრთან. ეს პროცედურები უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა გაეწიოს ოპერატიულად და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმის დოკუმენტი კი განსაზღვრავს, რომ მოსწავლეს უფლება აქვს წერილობით ან ზეპირად წარადგინოს საკუთარი ინიციატივა და მიიღოს მონაწილეობა განხილვის პროცესში. დოკუმენტში პირდაპირაა მითითებული, რომ სკოლის დირექტორი ვალდებულია ინიციატივის წარდგენიდან გონივრულ ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება მხარდაჭერის ან უარის შესახებ და აცნობოს ეს მოსწავლეს. ასევე, უარის შემთხვევაში, მოსწავლეს მიეწოდება დასაბუთებული პასუხი. ეს მექანიზმი გამორიცხავს პროცედურულ გაჭიანურებას და უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების დროულ რეალიზებას.

ორივე დოკუმენტში მკაფიოდ ჩანს, რომ სკოლა არა მხოლოდ ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არამედ ქმნის მოქნილ და ეფექტურ ადმინისტრაციულ მექანიზმებს, რომლებიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს საჭირო მხარდაჭერა გონივრულ ვადებში, როგორც ადაპტაციის, ისე საკუთარი ინიციატივების რეალიზების პროცესში.ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ ექსტერნის გამოცდების მასალებში ჩანს კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული მხარადჭერა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ტიპის გამოფენები, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიურებით ჩანს, რომ სკოლაში ტარდება სხვადასხვა ტიპის არაფორმალური აქტივოვები, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და წახალისებას. მაგალითად, ყოველწლიური კონფერენცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სექციებს, საგობრივ ჭრილში, მონაწილეობას (მომხსენებლები) იღებენ მოსწავლეები.ხოლო სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,,მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი“ დოკუმენტი ქმნის გამჭვირვალე, თანასწორ და მოქნილ სისტემას მოსწავლეთა ინიციატივების წარდგენისა და მხარდაჭერისთვის. ის უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეებს აქვთ რეალური შესაძლებლობა, საკუთარი იდეები და ინიციატივები გააცნონ სკოლას, მიიღონ მხარდაჭერა და ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში. მექანიზმი ასევე უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის განაწილებას, პროცესის გამჭვირვალობას და დისკრიმინაციისგან დაცვას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სსიპ - ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად და მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები და აწარმოებს გამოკითხვებს. მოსწავლეები და მშობლები დირექციასთან და დამრიგებლებთან აფიქსირებენ თავიანთ ხედვებს, გამოცდილებას, სურვილებს. სკოლა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში გათვალისწინებულია მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღების მეთოდები და შესაბამისი პირი ან სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებას.

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სასკოლო სასწავლო გეგმა, ისევე, როგორც სკოლის რეგულაციათა უმრავლესობა, ითვალისწინებს მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების სისტემების არსებობას. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით მნიშვნელოვანია, რომ სკოლა მოსწავლეებს ჩართავს არა მხოლოდ აქტივობებისა და მომსახურებების დაგეგმვის, არამედ შეფასებისა და გადასინჯვის პროცესშიც. მოსწავლეებთან ერთად ღირებული უკუკავშირის მიცემა შეუძლიათ დაინტერესებულ მხარეებსაც, იქნებიან ეს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები თუ თემის სხვა წევრები. სკოლა სხვადასხვა არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას სკოლა შეაგროვებს მონაცემებს გაწეული მომსახურების შესახებ მოსწავლეების გამოკითხვით, ანკეტირებით, ინტერვიუირებითა და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. მნიშვნელოვანია, რომ მიღებული მონაცემები გაანალიზდება და შესაბამისად სკოლის მიერ გაწეულ მომსახურებებში მოხდება საჭირო ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- არაფორმალური განათლების ამსახველი დოკუმენტები;
- დამრიგებლის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი წესი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დამრიგებლის დებულებაში ვკითხულობთ, რომ დამრიგებლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების აღმოჩენა და განვითარება, მათთვის პიროვნული და მორალური განვითარების ხელშეწყობა, პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის უნარების ჩამოყალიბება. დამრიგებელი ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას და მეწარმეობის უნარების განვითარებას, რაც კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული პროფესიული ორიენტაციის საფუძველია. ასევე, სადამრიგებლო საათების მიზნებში და თემატიკაში ხშირად გვხვდება ისეთი საკითხები, როგორიცაა: სამომავლო გეგმების დასახვა, წარმატებისკენ სწრაფვა, თვითგანვითარება, მეწარმეობა, პასუხისმგებლობა, რაც მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გაცნობიერებაში და პროფესიული არჩევანის გაკეთებაში.

დამრიგებლის პორტფოლიოში ასახულია კონკრეტული სადამრიგებლო საათების თემატიკა და ჩატარებული აქტივობები. თემები მოიცავს:

- მომავალ გეგმებზე საუბარს;
- წარმატებისკენ სწრაფვას;

- თვითგანვითარებას;
- პასუხისმგებლობისა და მოვალეობების გააზრებას;
- შემეცნებით ექსკურსიებს, მუზეუმებში ვიზიტებს, შემოქმედებით კონკურსებს;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის, ტოლერანტობის, მეგობრობის, ზრდილობის, ჰიგიენის, თავისუფალი დროის მართვის საკითხებს.

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის არა მხოლოდ სტუდენტური პრაქტიკის დონეზე, არამედ სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, დამრიგებლის სისტემური მუშაობის მეშვეობით. დამრიგებელი ხელს უწყობს მოსწავლეების ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების გამოვლენას, თვითშეფასებას, სამომავლო გეგმების დასახვას, რაც არის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის საფუძველი.სკოლაში ეს პროცესი ინტეგრირებულია როგორც სადამრიგებლო საათებში, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობებში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

დამრიგებლის დებულების მიხედვით, ჩანს რომ დამრიგებლის ერთ-ერთი მოვალეობაა მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან რეგულარული კომუნიკაცია, მათთვის სკოლის სხვადასხვა აქტივობებისა და წესების გაცნობა, ასევე ინდივიდუალური შეხვედრების ჩატარება. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დასაწყისშივე უზრუნველყოს მოსწავლისა და მისი მშობლის ინფორმირება დირექციის მიერ განსაზღვრულ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ასევე დამრიგებელი პერიოდულად განიხილავს მოსწავლეებთან სამომავლო გეგმებს და მშობლებს აცნობს მოსწავლის აკადემიურ მდგომარეობას. სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა შეხვედრების ამსახველი მასალა პროფესიულ კოლეჯ ,,იკაროსთან“, თავდაცვის აკადემიასთან, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასთან. აღნიშნული ორგანიზაციები მოსწავლეებთან განიხილავენ იმ შეთავაზებებსა და შესაძლებლობებს, რომელიც მოსწავლეებს შემდგომი კარიერული განვითარების საშუალებას მისცემს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე ქმნის კითხვარებს, პერიოდულად აწარმოებს გაწეული მუშაობის კვლევას. ამზადებს კითხვარებს მშობლებისთვისაც, ხოლო მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმავს მომდევნო წლის აქტივობებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის დებულება;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში ვხედავთ რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე პედაგოგიურ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას, ინდივიდუალურ მიდგომებს, მშობლისა და სპეციალისტების ჩართულობას, რესურსების უზრუნველყოფას და ინკლუზიური განათლების თანამედროვე პრინციპების დაცვას. მაგალითად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აღმწერი პროცესები, ალტერნატიული მეთოდები და მხარდაჭერა, შეფასების სისტემა, ფიზიკური გარემოს ადაპტირების გაუმჯობესების მექანიზმები, ასევე სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალები, კითხვარები იძლევა შეფასების საშუალებას, რომ სკოლას აქვს ჩამოყალიბებული მექანიზმი სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისთვის, რომელიც მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, მრავალპროფილური

სამუშაო ჯგუფის შექმნას, პროცესის მონიტორინგს, მშობლებისა და სპეციალისტების ჩართულობას, რესურსების უზრუნველყოფას და სისტემურ კომუნიკაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის ხაზგასმული, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მონაწილეობით. ამ ჯგუფში შედიან: კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, მშობელი და საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტები. ასევე, დოკუმენტში ნათქვამია, რომ მშობელი აქტიურად არის ჩართული როგორც ისგ-ის შემუშავებაში, ასევე მისი განხორციელების მონიტორინგში. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას, მოსწავლეთა შორის თანამშრომლობას, ჯგუფურ მუშაობას, პროექტებში მონაწილეობას და საერთო პასუხისმგებლობის განცდას, ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის სპეციალური პედაგოგებთან ინტერვიურებითაც ჩანდა, რომ აღნიშნული პროცესების იმპლემეტაცია ხდება წარმოდგენილი მექანიზმების მიხედვით, ხოლო კითხვარში ჩანს, რომ როგორც მშობელი, ასევე სპეციალური მასწავლებელი აქტიურად არიან ჩართულნი სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში, გადაწყვეტილებების მიღებაში, ინდივიდუალური გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში. მშობელი ადასტურებს, რომ ისგ ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ, მასწავლებლები ქმნიან მოსწავლეზე მორგებულ აქტივობებს, სკოლა უზრუნველყოფს საჭირო რესურსებს და კომუნიკაცია ყველა მხარესთან სისტემურია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის მასალები;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმები ინდგეგმების დამტკიცებაზე;
- ისგ ჯგუფის ოქმი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;

- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება და დებულება;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით არ აქვს გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო/სააღმზრდელო მომსახურება. სკოლას გაიჯარებული აქვს ფართი: სკოლის კვებისთვის. სკოლას, ასევე, იჯარით აქვს გაცემული სკოლის სარგებლობაში არსებული ფართები, რომლებშიც ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები: კალათბურთი, ფრენბურთი, ქართული ცეკვები, ხატვა, ჭადრაკი, ძიუდო, ტანვარჯიში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი, რომელშიც განხილულია კლუბების შექმნა და მათი მუშაობის პრინციპები, ხოლო ნორჩ ეკოლოგთა - ეკო კლუბის: კლუბის სამოქმედო გეგმა, მიზნები, აქტივობები და პასუხისმგებლობები დეტალურადაა გაწერილი, რაც მიუთითებს შეთანხმებულ წესებსა და პირობებზე. კლუბის პრეზიდენტი და ხელმძღვანელი პასუხისმგებელნი არიან კლუბის საქმიანობის ორგანიზებაზე, ხოლო მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ დაგეგმილ ღონისძიებებში. ორივე დოკუმენტში ჩანს, რომ კლუბების შექმნა და მათში მონაწილეობა ეფუძნება ნებაყოფლობითობას; პროცესი რეგულირდება კოლეგიალური ორგანოს (თვითმმართველობის) მონაწილეობით და შეთანხმებული წესებით; კლუბების საქმიანობა და მიზნები პირდაპირ ემსახურება მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება, ასევე, იჯარის, მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი.

ინდიკატორი შესაბიმისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- თვითმმართველობის ოქმები;
- იჯარის დოკუმენტაცია;
- კლუბების სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია მკაფიოდ განსაზღვრული მეთოდოლოგიური ჩარჩოს შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის ციკლურობას. აღნიშნული ციკლურობა მოიცავს კურიკულუმის დანერგვასა და გატარებას, სისტემურ მონიტორინგსა და შეფასებას, ასევე პერიოდულ გადასინჯვასა და რევიზიას. კურიკულუმი განსაზღვრავს სწავლა-სწავლების პროცესის ძირითად ორიენტირებსა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიზანმიმართულობასა და ეფექტიანობას. კურიკულუმი წარმოდგენილია როგორც პროცესის და ხედვის საწყისი ჩარჩო, რომელიც პასუხობს შემდეგ საკვანძო კითხვებს: რა უნდა განხორციელდეს, როგორ და რა ეტაპზე უნდა განხორციელდეს ეს პროცესი, ასევე როგორ უნდა განხორციელდეს მიზნების მიღწევის მონიტორინგი და შეფასება, როგორც პროცესის მიმდინარეობის, ისე საბოლოო შედეგის დონეზე. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება წინა წლის კურიკულუმის განხორციელების რეფლექსიასა და ანალიზს, აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კურიკულუმის უწყვეტ განვითარებასა და გაუმჯობესებას, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

სკოლაში კურიკულუმის შემუშავების პროცესი ემყარება თანამონაწილეობრივ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს სკოლის საზოგადოების — ადმინისტრაციის, პედაგოგიური პერსონალის, მოსწავლეთა და მშობელთა — ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. აღნიშნული მიდგომა გამოხატულია კურიკულუმის დაგეგმვის ეტაპზე მონაწილეთა ჩართულობით: სკოლა რეგულარულად ატარებს შიდა საკოორდინაციო შეხვედრებს, მოსწავლისა და მშობლის კმაყოფილების გამოკითხვებს, რაც საფუძვლად უდევს სასწავლო პროცესის შინაარსობრივ ცვლილებებს.

კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სკოლის კონტექსტი, რესურსები, მოსწავლეთა აკადემიური საჭიროებები და ადგილობრივი საზოგადოების მოლოდინები. აღნიშნული პროცესი აგრეთვე ითვალისწინებს სკოლის სტრატეგიულ მიზნებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო გეგმის თანხვედრას სკოლის მისიისა და განვითარების პრიორიტეტებთან. საბოლოო შედეგი არის მოქნილი და სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებზე მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას და სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარდმოდგენილ სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოს ოქმებში განხილული, შეთანხმებულია და დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. შესაბამისად, აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები თავისი ფორმატით წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესს, რაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება სასკოლო კურიკულუმში. სკოლაში კურიკულუმის შემუშავების პროცესი დაგეგმილია თანამშრომლობითი პრინციპით და ითვალისწინებს სკოლის საზოგადოების წევრთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, რაც შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრის, მშობლების, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმებში ერთ-ერთ საკითხად განხილულია კურიკულუმის შემუშავება და მასთან დაკავშირებული საქმიანობები. (კათედრის ოქმი #1) ამავდროულად, აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულების სხდომებზე განხილული, შეთანხმებულია და დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. შესაბამისად, აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები თავისი ფორმატით წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესს, რაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მშობელთა კითხვარებში, კრებების დოკუმენტაციაში, სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმებში განხილული სასკოლო სასწავლო გეგმით ჩანს, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.ასევე სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ. საჭირო მასალები ხელმისაწვდომია და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის მიერ. მასალების გაზიარება ხდება სოციალური ქსელის, სკოლის ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კურიკულუმი შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მშობლებთან შეხვედრის მასალები;
- სკოლის ვებ-გვერდი;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები სკოლის სამივე საფეხურზე მოსწავლეზე ორიენტირებულია და შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

	წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვა და განვითარების გზა, რაც ასევე დადასტურდა სკოლის მესვეურთა მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ დავალებებში. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე. სწორი აქცენტები გააკეთეს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად გამოყენებულ დავალებებზე, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) სამივე საფეხურზე არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ძირითადად წარმოდგენილია კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების იდეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით. სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საშუალებაზე.
უცხოური ენები	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების პრინციპებს, რაც გულისხმობს ისეთი სასწავლო პროცესის ორგანიზებას, რომელიც მოსწავლის ინტერესებზე, საჭიროებებსა და შესაძლებლობებზეა მორგებული. სწავლება ხდება აქტიური, თანამშრომლობაზე დაფუძნებული და პრაქტიკული გამოცდილებით გამდიდრებული. მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის, მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, რაც ავითარებს მათ დამოუკიდებელ აზროვნებას,

	თვითრეგულაციასა და მოტივაციას. სწავლა-სწავლების მიზნები და შედეგები ფორმულირებულია მოსწავლეთა მიღწევების გათვალისწინებით. კურიკულუმში ინტეგრირებულია სხვადასხვა სწავლების სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას და მოსწავლეთა შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას. კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული უნარების ფორმირებაზე და მათი მომავალი წარმატებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაზე.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ესთეტიკის კათედრის წევრებთან გასაუბრების შეჯამების საფუძველზე, სწავლების სამივე საფეხურზე სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები. სასწავლო წლის დასაწყისში საგნობრივ პედაგოგებს კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული აქვთ გასული აკადემიური წლის შედეგების ანალიზი, აკეთებენ გასაუმჯობესებელი საკითხების მიმოხილვას, მოსწავლეთა შედეგებს, სწავლების სუსტ და ძლიერ მხარეებს, რათა სასწავლო პროცესი დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, სწავლების სამივე საფეხურზე შემუშავებული აქვთ სწავლების მეთოდოლოგია. ესთეტიკის აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და წლიურ სამოქმედო გეგმაში გაწერი ლი თემები, აქტივობები, შემოქმედებითი დავალებები დაგეგმილია მოსწალეთა ინტერესებზე. სკოლა აქტიურად ახორციელებს არაფორმალური განათლების მიმართულებით საინტერესო სასკოლო პროექტებს.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმი სამივე(დაწყებით, საბაზო და საშუალო) საფეხურზე წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ სახელმწიფო ენის კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები სკოლის სამივე(დაწყებით, საბაზო და საშუალო) საფეხურზე

	ორიენტირებულია მოსწავლეზე და შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს. წარმოდგენილი კურიკულუმები გვიჩვენებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რომელსაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული დავალებები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ინტერვიუს დროს პედაგოგებმა წარმოადგინეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე. სწორი აქცენტები გააკეთეს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად გამოყენებულ დავალებებზე, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მასში წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით დაფარულია ყველა თემა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ. **რჩევა:** სასურველია • დაწყებითი საფეხურის (II; III; IV კლასები)კურიკულუმები ტექნიკურად გაიმართოს, რათა შემდგომში მასზე მუშაობა გამარტივდეს; სამიზნე ცნებებთან წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ქვეცნებები (I - IV კლასები)

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს,ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლები ითვალისწინეებენ ბავშვების ინტერესებსა და შეხედულებებს, იყენებენ წამახალისებელ აქტივობებს, რათა მოსწავლეთა ჩართულობა გაიზარდოს საგაკვეთილო პროცესში.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულია. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვა და განვითარების გზა. ინტერვიუს დროს პედაგოგმა ჩამოაყალიბა სამომავლო ხედვა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით, გრძელვადიანი მიზნები და შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები, შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით.

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სკოლის სამივე საფეხურზე მოქმედი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში მოცემული დავალების იდეიდან და შემაჯამებელი დავალებიდან ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, კონკრეტულად თუ რომელ გრძელვადიან მიზნებს მიემართება მათ მიერ წარმოდგენილი დავალებები(სკოლის სამივე საფეხურზე). მაგალითად, ქიმია, მე-11 კლასი, წარმოდგენილია ხსნარების რაოდენობრივი შედგენილობის, მოლური კონცენტრაციის და ხსნარში გახსნილი ნივთიერების მასური წილის გამოთვლა, რაც ნამდვილად უზრუნველყოფს სამიზნე ცნების-ნივთიერების დაფარვას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმები სამივე საფეხურზე მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. **რჩევა: სასურველია** საშუალო საფეხურის XII კლასის საგნებისთვის ისტორია და საქართველოს ისტორია კურიკულუმებში დამუშავდეს სამიზნე ცნება ისტორიული წყარო, ხოლო სავალდებულო თემების რაოდენობა განისაზღვროს ისტორიის და საქართველოს ისტორიის საშუალო საფეხურის სტანდარტის შესაბამისად. აღსანიშავია, რომ **დავალების**

	იდეა/მიზანი - სვეტში მაგ. იკითხება ისტორიული წყაროების ანალიზის საფუზველზე ანალიტიკური ესსეს შექმნა.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ უცხო ენების საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე კომპლექსური ტიპის დავალებებში დავალების პირობა იმგვარად არის ფორმულირებული, რომ ის უზრუნველყოფს არა მხოლოდ სავალდებულო თემების შესწავლას, არამედ ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებასაც. გასაუბრების ეტაპზე ხაზი გაესვა, რომ კომპლექსური დავალების პირობა იმგვარად უნდა იქნეს შემუშავებული, რომ ის უზრუნველყოფდეს ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას, მოსწავლეთა ჩართულობას და შემოქმედებითობას. **რჩევა:** დაწყებით საფეხურზე გამოვლენილია ზოგიერთი ცნების შეუსაბამობა საფეხურთან. რეკომენდებულია ცნებათა რევიზია და ადაპტაცია საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოსწავლეთა ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესი.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სწავლების სამივე საფეხურზე კურიკულუმები გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. საგნობრივი კურიკულუმების პასუხობს სასკოლო სასწავლო გეგმის წლიურ მისაღწევ შედეგებს, საგნობრივი სწავლების გრძელვადიანი მიზნები მიიღწევა სტანდარტით გაწერილი მოკლევადიანი მიზნით. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს თემის ფარგლებში გაწერილ თითოეულ კომპონენტს(შუალედური მიზნები, საკითხები, კონტენტ მაგალითები, შემოქმედებითი/შემაჯამებელია დავალების იდეა), რომელიც მიემართება გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად. **რჩევა:** სასურველია, სასკოლო კურიკულუმში, თემის ფარგლებში მოხდეს საკითხების უფრო დეტალურად ჩაშლა და დაკონკრეტება, თემების გადანაწილება მოხდეს საგნის წლიური საათების ჯამური რაოდენობის მიხედვით, სამიზნე ცნებებთან ერთად გაწერილი იქნას ის ქვეცნებები, რომელსაც კონკრეტული თემის ფარგლებში ამუშავებს პედაგოგი.

	სასურველია, კურიკულუმის ყველა გრაფა, სრულყოფილად იქნეს შევსებული.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სკოლის სამივე საფეხურზე(დაწყებითი, საბაზო და საშუალო) მოქმედი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი დავალების იდეით ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, კონკრეტულად თუ რომელ გრძელვადიან მიზნებს მიემართება მათ მიერ წარმოდგენილი დავალებები სამივე საფეხურზე. მაგალითად, სახელმწიფო ენის საგნობრივ მიმართულებაზე მე-7 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალება – წერილის შექმნა, რომელიც მართლაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნების- ჟანრის, კომპოზიციისა და ენობრივ–გამომსახველობითი საშუალებების– დაფარვას.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები და საფეხურის შედეგები. კურიკულუმებში თემები, დავალებები, დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლის პიროვნული განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალების მრავალფეროვანი იდეები. აღსანიშნავია, მასწავლებელთა სურვილი და მონდომება თანმიმდევრულად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა ტიპის დავალება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

	რჩევა: სასურველია საბაზო საფეხურზე (VIII კლასი) მკაფიოდ იყოს წარმოჩენილი შემოქმედებითი პროდუქტი, რისი მომზადებაც ევალება მოსწავლეს.
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები, დავალებები, ქვეცნებები და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ორგანიზებასა და თვით კონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებელთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სკოლის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში მოცემულ დავალების იდეა/შემაჯამებელი დავალება ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრული აქვთ გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები. ინტერვიუის დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა. რჩევა: ბუნებისმეტყველებაში გაწერილ სავალდებულო თითოეულ თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; შესაბამისი რესურსებით, ონლაინ და მატერიალური რესურსების გამოყენებით, მათ შორის სასკოლო ლაბორატორიებით. სკოლას აქვს ლაბორატორიები, სადაც ხდება ექსპერიმენტების და ცდების ჩატარება სწავლების სამივე საფეხურზე. სკოლას გააჩნია ლაბორატორიული სივრცე, სადაც აქვს სხვადასხვა ტიპის პრეპარატები, მოწყობილობები, სქემები, მიკროსკოპები, მულაჟები და სხვა, რაც უზრუნველყოფს პირველადი ავტორიზაციის დონეზე ავტორიზაციის სტანდარტის დაკმაყოფილებას. ასევე სკოლის დირექციამ ინტერვიუში აღნიშნა, რომ დაწყებულია მოლაპარაკება ინტეგრირებული ლაბორატორიის შესაძენად (STEM)-მიმართულებით, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს საბუნებისმეტყველო სწავლების ხარისხს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები სამივე საფეხურზე, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ტელესკოლის ვიდეო რესურსები და გაკვეთილები, El.ge-ის პორტალის რესურსები, სასწავლო რუკები და სხვა.
უცხოური ენები	სკოლაში გამოყენებული კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები (სახელმძღვანელოები, დამხმარე მასალები, ციფრული პლატფორმები და აუდიო-ვიდეო მასალები) სრულად უზრუნველყოფს უცხოური ენის სწავლების მიზნებსა და მოსწავლის მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. კათედრის მიერ წაროდგენილი კურიკულუმების და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ რესურსები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ეხმიანება თანამედროვე მიდგომებს, როგორიცაა კომუნიკაციური სწავლება (CLT) და დიფერენცირებული სწავლება. მასწავლებლები იყენებენ როგორც ბეჭდურ, ისე ინტერნეტ რესურსებს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა), რაც მიზნად

	ისახავს ენის პრაქტიკულ გამოყენებას. რესურსების გამოყენება თანხვედრაშია შეფასების კრიტერიუმებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის რეალურ მონიტორინგს.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტების და ესთეტიკის კათედრის წევრებთან გასაუბრების ანალიზის საფუძველზე, სწავლების სამივე საფეხეურზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზრვრულ სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლა უზრუნველყოფილია ესთეტიკის საგნების სწავლისთვის საჭირო მატერიალური და ონლაინ რესურსებით, სკოლა აღჭურვილია სწავლებისთვის შესაბამისი ტექნიკურ-ციფრული რესურსებით. სკოლა იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად სასწავლო რესურსებს, გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ხოლო დამხმარე სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს თემის ფარგლებში მისაღწევი მიზნის შედეგიანობას.
სახელმწიფო ენა	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; შესაბამისი რესურსებით, ონლაინ და მატერიალური რესურსების გამოყენებით სწავლების სამივე საფეხურზე.
მათემატიკა	როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების შერჩევას. კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები ხელს უწყობს სამიზნე ცნებების

	დამუშავებას და მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
სპორტი	სკოლას აქვს და იყენებს სპორტულ ინვენტარს და რესურსებს, რაც კურიკულუმებში მოცემული თემების განხორციელებისთვის აუცლებელია. კერძოდ, სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ბადეები, ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი გამოყენებულია კურიკულიმში გაწერილი თემების შესაბამისად. აითვისონ და გააღრმავონ სხვდასხვა სპორტის სახეობები, ივარჯიშონ და განავითარონ ფიზიკური თვისებები, როგორიცაა ძალა, სიჩქარე, გამძლეობა, მოქნილობა, კოორდინაცია და რეაქცია, რომლებიც აუცილებელია ეფექტური და წარმატებული ფიზიკური მოქმედებისთვის.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; შესაბამისი რესურსებით, ონლაინ და მატერიალური რესურსების გამოყენებით ,მათ შორის სასკოლო ლაბორატორიით. ფოტომასალით და მასწავლებელთან ინტერვიუს შედეგად ჩანს რომ, სკოლას კომპიუტერულიი კლასი თანამედროვე ტექნიკით აქვს აღჭურვილი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სახელმძღვანელოები, ელექტრონული და ბეჭდური რესურსები, რომლებსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმში ჩანს, რომ მასწავლებლები მიზნის მისაღწევად იყენებენ მიზნობრივ და მრავალფეროვან რესურსებს.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასკოლო საზოგადოების მიერ დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს სამივე საფეხურზე.

	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს,რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდად, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს, სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ბუნებისმეტყველების კურიკულუმი წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, კონტექსტ მაგალითების და კომპლექსური დავალების იდეების დონზე (სამივე საფეხურზე). მაგალითად, მეშვიდე კლასში არის ოთხი სსსმ მოსწავლე, რომლებთანაც სპეციალურ მასწავლებელთან ერთად შემუშავებულია ინდივიდუალური გეგმები. პროცესის ანალიზი განხორციელდება წლის ბოლოს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. კომპლექსური დავალებების შერჩევისას ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება.
უცხოური ენები	სასკოლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების მთავარი პრინციპები, ასევე კათედრის მიერ გადმოგზავნილია სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა, გასაუბრების ეტაპზეც ხაზი გაესვა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს ინკლუზიურ განათლებას, რათა სასკოლო გარემო თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მოსწავლისათვის. კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპზე მოსწავლეებს

	ეძლევათ არჩევანის საშუალება, თავიანთი შესაძლებლობების და ცოდნის შეფასების მიხედვით. განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისათვის მასალა შესაძლებელია შეთავაზებული იყო განსხვავებული ფორმატით (ტექსტი, ვიდეო, კომიქსი, და ა.შ).
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის და კათედრის წევრებთან გასაუბრების ანალიზის საფუძველზე, სწავლების სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. სკოლას სასწავლო სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების როლი, შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა, წარმოდგენილი აქვს სსსმ-მოსწავლეებისთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა ისაუბრეს სსსმ-მოსწავლეების ჩართულობაზე საგაკვეთილო პროცესში, მათთვის მომზადებულ ადაპტირებულ სასწავლო გეგმებზე და სამუშაო რესუსრსებზე. **რჩევა:** სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებული იქნას მისი სრულყოფილად შევსება, რაც გულისხმობს: საგნობრივი პედაგოგის მიერ დეტალურად უნდა იყოს გაწერილი თემის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ჩამონათვალი, მასთან მიმართებით სსსმ-მოსწავლის შესაძლებლობებზე მოდიფიცირებული დავალებები, თანდართული სასწავლო რესურსებით. სასურველია, შემოქმედებითი დავალების პირობა იყოს უფრო მეტად მოდიფიცირებული და გათვალისწინებული იქნას დიფერენცირებული სწავლების მიდგომები.
სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. საგნობრივი კათედრის მიერ დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს სამივე(დაწყებით, საბაზო და საშუალო) საფეხურზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რომელშიც მოსწავლე განიხილება, როგორც

	კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული სწავლის მიდგომებს. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. სახელმწიფო ენის კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე. მაგალითად, მეშვიდე კლასში არის ოთხი სსსმ მოსწავლე, რომლებთანაც საგნის მასწავლებლის მიერ სპეცმასწავლებელთან ერთად შემუშავებულია ინდივიდუალური გეგმები, პროცესის ანალიზი განხორციელდება წლის ბოლოს.
მათემატიკა	სკოლას გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები სამივე საფეხურზე. სწავლა-სწავლების პრინციპები ორიენტირებულია: სასწავლო გარემოს მოქნილობაზე; სწავლის პროცესზე; მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე; დავალებების კომპლექსურ ბუნებასა და მრავალფეროვნებაზე. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირების როლი სწავლა-სწავლების პროცესში. როგორც აღნიშნეს, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის თავისუფლებას ან სთავაზობენ ისეთ დავალებას, რომელიც მორგებულია მათ შესაძლებლობებს. საჭიროებისამებრ ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის; დავალების ადაპტირებას სსსმ მოსწავლისათვის; ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს.
სპორტი	მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა

	შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში. მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია თემებში და დავალებებში.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანს რომ დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, იქმნება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლოო გეგმა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას (ჩანს კურიკულუმებში, სადაც დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს).

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის დოკუმენტაციის გაცნობისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; საბუნებისმეტყველებო მეცნიერებების(ბუნებისმეტყველება,ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში კათედრის მიერ განსაზღვრულია დავალებები, შეფასების რუბრიკით, რაც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე.

	ინტერვიუს დროს პედაგოგების მიერ აღინიშნა, რომ .სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს აგრეთვე მათ მიერ დაგეგმილი დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე - ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან წარმართვას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამივე საფეხურე სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე, მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე.
უცხოური ენები	სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი კომენტარი ეხმარება მოსწავლეს საკუთარი პროგრესის დანახვაში, ცოდნის დიაგნოსტირებაში. ირკვევა, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. ასევე ის მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდურ ორიენტირებს.საბაზო და საშუალო საფეხურებზე კი, სკოლა იყენებს განმსაზღვრელ შეფასებებს.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას სამივე საფეხურზე გააჩნია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილი აქვს სკოლის სასწავლო გეგმაში. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში შემოქმედებით/ პრაქტიკულ დავალებებს თანდართული აქვს განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები,

	ნიმუშის სახით წარმოდგენიალია ასევევ მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება პედაგოგის მიერ განმავითარებელი კომენტარით. საბაზო საფეხურზე სასწავლო გეგმით გაწერილია საგნობრივ ჯგუფების მიხედვით შემაჯამებელი წერების წლიური რაოდენობა, წარმოდგენილ თითოეულ შემაჯამებელ დავალებას აქვს შეფასების რუბრიკები, სადაც დეტალურად არის განსაზღვრული შემაჯამებელი დავალების თითოეული კომპონენტი განმსაზრვრელი ქულებით, ასევე დოკუმენტურად არის წარმოდგენილი შემაჯამებელების ანალიზი. სკოლა, პედაგოგები მუდმივად მუშაობენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე, რომელიც წარმოდგენილი აქვთ სასწავლო პროცესის შემაჯამებელ დოკუმენტებში.
სახელმწიფო ენა	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის(დაწყებითი, საბაზო და საშუალო) სწავლებისას. სკოლის დოკუმენტაციის გაცნობისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის(დაწყებითი, საბაზო და საშუალო) კურიკულუმებში კათედრის მიერ განსაზღვრულია დავალებები, შეფასების რუბრიკებით, რაც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. საგნობრივი კურიკულუმები გვიჩვენებს, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლასა და მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგების მიერ აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს აგრეთვე მათ მიერ დაგეგმილი დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე - ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან წარმართვას.

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეებს იმის გაგებაში, თუ როგორ გაიუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროცესი ეხმარება შეფასება. კათედრაზე შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები. სამივე საფეხურზე იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას (განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება დაწყებითი საფეხურის V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში), რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, ფარავს გრძელვადიან მიზნებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, იცნობენ და ერკვევიან შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და ინსტრუმენტებში.
სპორტი	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი სახით, სადაც კარგად ჩანს ბავშვების განვითარება და პროგრესი.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანს, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ტექნოლოგიების მიმართულებით მოსწავლის შეფასება სკოლაში ეფუძნება რამდენიმე ძირითად კრიტერიუმს: ტექნოლოგიური უნარების ფლობა, პრობლემის გადაჭრის უნარი ტექნოლოგიური საშუალებებით, ეთიკური ნორმების დაცვა დაგუნდურობა და ეფექტური თანამშრომლობა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები რიგ კლასებში. გაიცა რეკომენდაცია, რომ შეფასების რუბრიკებს მისცენ მეტი კონკრეტიკა და სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ სამიზნე ცნებებთან, კერძოდ,

	კონკრეტული დავალებისთვის, დეტალურად აღწერონ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში კრიტერიუმის მიღწევა. ასევე, სასურველია პედაგოგებმა შექმნან სხვადასხვა აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და შექმნის პროცესში ჩართონ მოსწავლეები.მიუსადაგონ შეფასება კომპექსური დავალებაში გაწერილ კრიტერიუმებს, დაუკავშირონ შეფასება ცნებას და ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ყველა საგნობრივ დისციპლინაში;*
- *პედსაბჭოს ოქმი კურიკულუმების შემუშავებაზე;*
- *სკოლის სასწავლო გეგმა;*
- *განმსაზღველი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ცხადია, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად - სწავლების სამივე საფეხურზე. სასკოლო კურიკულუმში STEM-ის მიმართულებით დისციპლინებში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, კარგად ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც მკაფიოდაა წარმოდგენილი სკოლის დოკუმენტაციაში და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს. საზოგადოებრივი მეცნიერებების სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია კომპლექსური ბუნების შემოქმედებით დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმებში სამიზნე ცნებები, საკითხები, დავალების/შუალედური მიზნის პირობები ერთმანეთთან ლოგიკურად

	არის დაკავშირებული. ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად სამივე საფეხურზე, რაც დადასტურდა როგორც კურიკულუმების დოკუმენტური ანალიზით, ისე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად. მასწავლებლები მიმართავენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებს, იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებსა და რესურსებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და უნარებზე. დაგეგმვა მოიცავს თემატური ერთეულების ლოგიკურ თანმიმდევრობას და ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას.
ესთეტიკური აღზრდა	შესწავლილი დოკუმენტების და საგნობრივ პედაგოგებთან გასაუბრების ანალიზის მიხედვით, სწავლების სამივე საფეხურზე, ესთეტიკის საგნების(მუსიკა, ხელოვნება) სასწავლო პროცესი დაგეგმილი არის სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი სასწავლო წლის მანძილზე სავალდებულო თემები და საკითხების ფორმულირება მიმართებაში არის საგნობრივ სამიზნე ცნებებთან. სასწავლო პროცესი დაგეგმილი არის საინტერესო, შემეცნებითი თეორიული და პრაქტიკული აქტივობებით, სწავლების პროცესში შეთავაზებული არის მრავალფეროვანი, ვიზუალური და მოსასმენი მასალა, რაც მოსწავლეს ეხმარება განვითარების პროცესში.
სახელმწიფო ენა	სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ცხადია, რომ სასწავლო პროცესი სკოლის სამივე საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) სასკოლო კურიკულუმში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით თემების ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები, კარგად ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, კურიკულუმის ჩარჩოების

	მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემები და საკითხები ისეა წარმოდგენილი, შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეული, რომ მოსწავლეებში იწვევს ინტერესს, რაც საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის.
სპორტი	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვადასხვა საფეხურის სპორტის გაკვეთილის შესახებ, ისაუბრეს გაკვეთილის სტურქტურაზე და სასწავლო პროცესზე. მოიყვანეს მაგალითებად როგორც შიდა სასკოლო ჩემპიონატების ისე სასკოლო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მაგალითები, სადაც გარკვეული წარმატებაც აქვთ.
ტექნოლოგიები	სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ცხადია, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლება მოიცავს როგორც თეორიულ კომპონენტებს, ისე პრაქტიკულ აქტივობებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ტექნოლოგიური და თანამშრომლობის უნარების განვითარებაში. სასწავლო შინაარსი და მეთოდები მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ საჭიროებებზე, უზრუნველყოფს აქტიური ჩართულობისა და უსაფრთხო გარემოს ფორმირებას.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ დანერგვის შემდეგ აანალიზებენ კურიკულუმს და შეაქვთ ცვლილება. მაგ. პირველ კლასში აპირებენ მიზნობრივად დატოვონ იმდენი კომპლექსური დავალება რამდენის დანერგვაც შეძლეს გასულ წელს.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის ადაპტაციის წესი ითვალისწინებს მოქნილ რეაგირებას სხვადასხვა სიტუაციაზე: მაგალითად, დეზადაპტაციის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს მშობლის ინფორმირებას, ფსიქოლოგის ჩართვას, საჭიროების შემთხვევაში — სპეციალისტების მობილიზებას და ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებას. ასევე, დოკუმენტი ითვალისწინებს რეკომენდაციებს როგორც მოსწავლის, ისე მშობლისთვის, რაც ადაპტაციის პროცესს კიდევ უფრო პერსონალიზებულს და მოქნილს ხდის.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრანზიციის პერიოდებს (საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა, ახალი მოსწავლის ინტეგრაცია), სადაც დამრიგებლისა და მასწავლებლის როლია გამოკვეთილი, რათა მოსწავლეებმა მარტივად და სტრესის გარეშე გადალახონ ცვლილებები. სკოლის ადაპტაციის წესი სრულად პასუხობს მოთხოვნას, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. დოკუმენტი უზრუნველყოფს ინდივიდუალური მიდგომების, მრავალფეროვანი მხარდაჭერისა და დროული რეაგირების მექანიზმებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლაში (სამივე საფეხურზე) ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც

	საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ჰქონდეს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ სწავლის პროცესში, ასევე მოსწავლეს აძლევს საშუალებას დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე და გაუმჯობესოს მიღწეევები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფარგლებში სკოლაში ფუნქციონირებს სანდო და ობიექტური შეფასების სისტემა. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლის კრიტერიუმების მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი. მათთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ძირითადი პრიორიტეტები, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რასაც სამივე საფეხურის პედაგოგები კონკრეტული შეფასების რუბრიკების შექმნით და დახვეწით ანხორციელებენ. რომელიც ზუსტად გაზომავს თითოეული მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს.
უცხოური ენები	სკოლის დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში სამივე საფეხურზე ჩამოყალიბებულია სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია ყოველი მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებაზე.განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს სწავლის პროცესში აძლევს ინფორმაციას მოსწავლის წინსვლის შესახებ, ხოლო მოსწავლეს -საკუთარი სწავლის შესახებ ფიქრის და მიღწევების გაუმჯობესების საშუალებას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სწავლების სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სკოლას გააზრებულად აქვს შემუშავებული შეფასების თითეული ფორმა, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე არის მორგებული.

	შეფასების სისტემა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის კრიტერიუმებს. შემაჯამებლის რუბრიკები შემუშავებული არის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლაში (სამივე საფეხურზე – დაწყებითი, საბაზო და საშუალო) ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა შეფასების სისტემა საკლასო და სასკოლო დონეზე შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ჰქონდეს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ სწავლის პროცესში, ასევე მოსწავლეს აძლევს საშუალებას დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე და გააუმჯობესოს მიღწევები.
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასება სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია საგნობრივი შედეგების შესაბამისად. მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. კათედრას შექმნილი აქვს მკაფიო შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. ეს ყოველივე გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

სპორტი	მასწავლებლები მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი დავალების შეფასების კრიტერიუმებს. მასწავლებლები მოსწავლეების შეფასებას ახორციელებენ გამჭვირვალედ და სამართლიანად, რათა მიიღონ მათი ცოდნისა და აკადემიური მდგომარეობის ობიექტური სურათი, რომელიც შემდგომში გამოიყენება როგორც წინარე ცოდნის საფუძველი სწავლის პროცესის დაგეგმვისა და გაუმჯობესებისთვის. მსგავსი ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებელს შექმნილი აქვს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური განმავითარებელი შეფასება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წამროდგენილი აქვს შეფასების ზოგადი რუბრიკები დონეების მიხედვით გაწერილი, რომლებიც მორგებული აქვთ სასწავლო პროცესს და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ იყენებენ. შეფასების რუბრიკების დახვეწის მიზნით. გაიცა რჩევა ,,ბუნებისმეტყველებასა“ და ,,მე და საზოგადოებაში“. გასაუბრებისას ცხადი იყო განწყობა, რომ რჩევას გაითვალისწინებენ და კათედრა დიდ ყურადღებას მიაქცევს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. იზრუნებენ ამ მიმართულების გაძლიერებაზე.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი“ დეტალურად ასახავს სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს.

დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხს და სამართლიანობას.
- ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის, პროცესის და მტკიცებულებების (მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების) დონეზე. თითოეული მიმართულება დეტალურადაა გაწერილი, მათ შორის, როგორ ხდება დავალებების შერჩევა, განმეორებითი შეფასება და შედეგების ანალიზი.
- ვერიფიკაციის პროცესი რეგულირდება სპეციალური ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობასა და გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი. ჯგუფი ადგენს წლიურ გეგმას, ასრულებს ვერიფიკაციის პროცედურებს და ამზადებს ანგარიშს, სადაც ასახულია როგორც პროცესი, ასევე გამოვლენილი პრობლემები და რეკომენდაციები.
- ვერიფიკატორის როლი მკაფიოდ განსაზღვრულია: ის უნდა იყოს მიუკერძოებელი, არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი, უნდა ჰქონდეს საკმარისი რესურსი და ავტორიტეტი, ასევე ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების დაცვის წესები.
- ვერიფიკაციის ფოკუსი და სიხშირე განისაზღვრება როგორც მასწავლებლის გამოცდილების, ასევე საგანმანათლებლო სტანდარტების ცვლილებების, ან კონკრეტული პრეტენზიების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის მოქნილობას და ადეკვატურობას.
- ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება როგორც პედაგოგიური პრაქტიკის, ასევე საგნობრივი კურიკულუმების გაუმჯობესებისთვის, რაც უზრუნველყოფს სისტემის უწყვეტ განვითარებას. დოკუმენტი სრულად ასახავს ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს, უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, ხარისხს, მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებას. მექანიზმი მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე კონტროლის ელემენტებს, უზრუნველყოფს უკუკავშირს და სისტემის განვითარებას. ეს ყველაფერი სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე ხარისხის მართვის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება მოსწავლის პირადი ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები ყველა საგნობრივ დისციპლინაში;
- შეფასების რუბრიკები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პირადი საქმეები;
- ელექტროინული ჟურნალი.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში - სკოლის სამივე საფეხურზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინეობა, ონლაინ რესურსი. ტელესკოლის გაკვეთილები

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები სამივე საფეხურზე, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ტელესკოლის ვიდეო რესურსები და გაკვეთილები, El.ge-ის პორტალის რესურსები, სასწავლო რუკები და სხვა.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით. პედაგოგები აქტიურად იყენებენ სახელმძღვანელოებს, სამუშაო რვეულებს, ვიზუალურ, აუდიო და ელექტრონულ მასალებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსების გამოყენება შეესაბამება თემატური გეგმების მიზნებს და დადასტურდა როგორც დოკუმენტაციის გადახედვის, ისე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და საგნობრივი კათედრის დოკუმენტაციის ანალიზის მიხედვით, სკოლა სწავლების სამივე საფეხურზე იყენებს ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. ყველა კლასის კურიკულუმში გაწერილია ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფმინიჭებული სახელძღვანელო) და დამხმარე რესუსრსები (სხვადასხვა ონლაინ რესურსები), რომლებიც მორგებული არის სასწავლო თემის ფარგლებში განსაზრვრულ საკითხებზე, რაც უზრუნველყოფს სწავლების ეფექტიანობას. **რჩევა:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში სრულყოფილად იყოს გაწერილი ძირითადი სასწავლო რესურსის დასახელება, რომელიც სკოლას აქვს არჩეული სწავლების სამივე საფეხურზე.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმით სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი საბაზო და საშუალო) სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. გამოიყენება

	გრიფირებული სახელმძღვანელოები, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინრესურსები, ტელესკოლის გაკვეთილები.
მათემატიკა	სასწავლო მიზნების მისაღწევად და მოსწავლეთა დასაინტერესებლად სკოლა ეფექტურად იყენებს სასწავლო პროცესში როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე დამხმარე სახელმძღვანელოებს და ელექტრონულ რესურსებს. მათი გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების შესრულებას და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. **რჩევა:** სასურველია დაწყებით საფეხურზე (I – V კლასები)სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას უფრო მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას math.ge -ზე განთავსებული რესურსები.
სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. კერძოდ სხვადასხვა სპორტს თავისი სპეციფიკური რესურსი სჭირდება, სკოლა კი ამ ყველაფერს უზრუნველყოფს და იყენებს სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი (sceel.emis.ge) და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ემსახურება სწავლების მიზნების უკეთ მიღწევას. მათ შორისაა ციფრული პლატფორმები. რესურსების შერჩევა და გამოყენება ემყარება სასკოლო კურიკულუმს და მოსწავლეთა საჭიროებებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მრავალფეროვნებასა და ხელმისაწვდომობას
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად მითითებულია სახელმძღვანელოები და იშვიათად გვხვდება ციფრული რესურსები. თუმცა

	გასაუბრების დროს მათ ისაუბრეს იმ დამატებით რესურსებზე რომლებსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. გამომდინარე აქედან, სკოლას მიეცა **რჩევა,** კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინონ როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა აჩვენებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების გამოყენებას, რომელიც ვალიდურია და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულობას.მაგალითად:ტელე სკოლის გაკვეთილებს, ვირტუალურ ლაბორატორიებს, ანიმაციებს (სკოლის სამივე საფეხურზე),
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სწავლების სამივე საფეხურზე. კერძოდ, ტელესკოლის ვიდეო რესურსები და გაკვეთილები, El.ge-ის პორტალის რესურსები, სასწავლო ინტერაქტიული რუკები და სხვა.
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათი შერჩევისა და გამოყენების წინ საგნობრივი შესაბამისობის, ასაკის შესაბამისობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან თანხვედრის გადამოწმებას. რესურსების გამოყენებამდე განხილვა ხდება საგნობრივ ჯგუფებში და საჭიროების შემთხვევაში – სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. ვალიდაციის პროცესი უზრუნველყოფს, რომ დამხმარე რესურსი არის მიზნობრივი, სანდო და განვითარებაზე ორიენტირებული.
ესთეტიკური აღზრდა	სასკოლო კურიკულუმში მითითებული დამხმარე სასაწავლო რესურსები გადამოწმებულია და ვალიდურია გრძელვადიან მიზანთან მიმართებაში სწავლების სამივე საფეხურზე, რაც გულისხმობს მათ წინასწარ შეფასებას შინაარსობრივი შესაბამისობის, საგნობრივი მიზნების,

	ასაკობრივი თავისებურებებისა და კულტურულ-ესთეტიკური ღირებულებების გათვალისწინებით. რესურსები შეირჩევა მიზნობრივად, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა გემოვნების, შემოქმედებითი უნარებისა და ესთეტიკური აღქმის განვითარებას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის საგნობრივი მიმართულებით სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით თვალსაჩინოა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების გამოყენებას სასწავლო პროცესში. ეს დასტურდება გაკვეთილების შეფასების ფორმებითა და ანალიზით. ასევე ტელესკოლის გაკვეთილების, დამხმარე ლიტერატურისა და ანიმაციების გამოყენებით. რესურსები ვალიდურია სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში, რაც გულისხმობს მათი შერჩევის წინასწარ შეფასებას შინაარსობრივი სიზუსტის, კურიკულუმთან შესაბამისობისა და ენობრივი ნორმების მიხედვით. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ გამოყენებული რესურსები ხელს უწყობდეს მოსწავლეთა წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების უნარების განვითარებას სახელმწიფო ენის სწავლის პროცესში.
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სამივე საფეხურზე, შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მისი ვალიდაცია დასტურდება კათედრის N1 ოქმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსის შერჩევის პრინციპით და ვალიდაციისათვის დადგენილი სქემით.
სპორტი	სკოლის მი,ერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათი შერჩევისა და გამოყენების წინასწარ გადამოწმებას კურიკულუმთან შესაბამისობის, უსაფრთხოების და პრაქტიკული გამოყენებადობის მიხედვით.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა აჩვენებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების გამოყენებას და ვალიდაციას, რაც ნიშნავს, რომ თითოეული დამატებითი მასალა წინასწარ მოწმდება შინაარსობრივი სისწორის და მიზანთან შესაბამისობის

	თვალსაზრისით, რათა შეესაბამებოდეს კურიკულუმის მიზნებს და მოსწავლეთა საჭიროებებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს დაწყებითი კლასის კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო მიმართულებით ლაბორატორიული აღჭურვილობა, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მიმართულებით, აქვთ საჭირო პრეპარატები. მიმდინარეობს მარტივი ცდების ჩატარება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლისთვის სკოლა უზრუნველყოფს შესაბამის რესურსებს, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება ლაბორატორიული ინვენტარი, როგორიცაა მიკროსკოპები, თერმომეტრები, სასწორები და საზომი ცილინდრები. წარმოდგენილია ვიზუალური და ბუნებრივი მასალები, მათ შორის პოსტერები, მოდელები, მინერალებისა და მცენარეების ნიმუშები. ასევე გამოიყენება ციფრული რესურსები, ვიდეომასალა და საგანმანათლებლო პროგრამები, რაც განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ და პრაქტიკულ ჩართულობას სასწავლო პროცესში. კათედრის წარმომადგენლების თქმით, ლაბორატორიების განახლების მიზნით მიმდინარეობს მოლაპარაკებები ახალი ინტეგრირებული ტიპის STEM მიმართულებით ლაბორატორიების შესაძენად. რაც კიდევ უფრო აამაღლებს და გააუმჯობესებს საბუნებისმეტყველო სწავლების ხარისხს სწავლების სამივე საფეხურზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს მოსწავლეთა რაოდენობის და ასაკის შესაბამისი ფართი, კომპიუტერები, ლეპტოპები. ეს მატერიალური რესურსი რომელიც სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებშია განთავსებული გამოყენება საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სამივე საფეხურზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე დამხმარე სახელმძღვანელოებს. ასევე სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება გეოგრაფიული და ისტორიული რუკები. საკლასო ოთახებში, სკოლას განთავსებული აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად და სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებლად.
უცხოური ენები	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმში განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო და ტექნიკური საშუალებები (დაფები, აუდიო-ვიდეო მოწყობილობები, კომპიუტერები და სხვა), რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ რესურსებს და საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყოფენ დამატებით მასალებზე წვდომას.
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივ კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგების ანალიზის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფილია და აღჭურვილია მატერიალური რესურსით, რომელიც ესთეტიკის საგნების (ხელოვნება, მუსიკა) სწავლების პროცესში გამოიყენება. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია პროექტორით, ვიზუალური მასალის საჩვენებლად და ასევე ხმოვანი დინამიკებით, მოსასმენი მასალის მისაწოდებლად. აღნიშნულის განხორციელება ხდება ორ კლასში და ასევე შესაძლებელია გადასაადგილებელი პროექტორი გამოყენება ნებისმიერ საკლასო ოთახში.

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის საგნობრივი მიმართულების სამივე საფეხურით(დაწყებითი, საბაზო და საშუალო) სწავლების პროცესისათვის სკოლა იყენებს შესაბამის მატერიალურ რესურსს მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად. შესაბამისი სასწავლო გარემოს, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოებისა და ონლაინრესურსების მეშვეობით მიიღწევა კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით: გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მატერიალური და ციფრული რესურსებით, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ეფექტურად განახორციელოს სასწავლო პროცესი.
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ზღვრულ რაოდენობას გაკვეთილის პროცესის დროს დარბაზში თუ გარე მოედანზე, რათა ეფექტური იყოს გაკვეთილი. გამოყენებული მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება იმ მოთხოვნებს რაც მოცემულია კურიკულიმში.
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია კომპიუტერული ლაბოლატორია. აქვთ პროექტორი და 29 მოქმედი კომპიუტერი საგაკვეთილო პროცესისთვის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასის კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე გამოკვეთილი დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს 53 მასწავლებელი, რომელთაგანაც 38 უფროსი, ხოლო 8 წამყვანი მასწავლებელია, ასევე 3 სპეციალური და 4 დამხმარე მასწავლებლები. ექსპერთა ვიზიტის დროს შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომელიც წარმოდგენილი იყო სრულყოფილად და აკმაყოფილებდა კანონმდებლობის მოთხოვნებს. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა ექიმი, გამოცხადებული ჰქონდა მიმდინარე ვაკანსიად. ექსპერტთა შეკითხვაზე, თუ როგორ უზრუნველყოფდა სკოლა პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას, სკოლის ადმინისტრაციის პასუხი იყო, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი მიმართავენ სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის გამოძახებას. ყველა თანამშრომელთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები;
- პირადი საქმეებიი;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა;
- კათედრის ოქმები;
- კათედრის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სასკოლო კურიკულუმი მკაფიოდ განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს რამდენიმე თანმიმდევრულ ეტაპს. პირველ რიგში, დადგენილია მონიტორინგისა და შეფასების მიზნები, ასევე შერჩეულია შესაბამისი ინდიკატორები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც მიმდინარე პროცესის, ისე სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მიღწევის დონის შეფასებას. სკოლა წინასწარ განსაზღვრავს იმ მონაცემთა ჩამონათვალს, რომლებიც გროვდება მონიტორინგის პროცესში და წარმოადგენს მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველს. მაგალითად, გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკური მონაცემები, სხვადასხვა ტიპის ნამუშევრების შეგროვება, შედარებითი ანალიზის განხორციელება და საბოლოო შეფასების საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება, რაც უზრუნველყოფს სისტემის უწყვეტ განვითარებას. საგნობრივი კათედრები, სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, განსაზღვრავენ მონიტორინგისა და შეფასების ვადებს, რის შემდეგაც შედეგები ანგარიშის სახით წარედგინება ადმინისტრაციას. აღსანიშნავია, რომ სკოლა მომავალში გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მშობელთა ჩართულობის გაზრდას, ასევე კვლევითი მეთოდების ინტეგრაციას, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს პროცესის სანდოობასა და ეფექტიანობას. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დასრულების შემდეგ, სკოლა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას კურიკულუმის გაუმჯობესების, პროგრესისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, რაც აისახება მომდევნო წლის კურიკულუმში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასკოლო პროცესის გამჭვირვალობას, ეფექტიანობასა და უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზი მოიცავს კურიკულუმის როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას. ანალიზის შედეგად დეტალურად განისაზღვრება ის ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები, რომლებიც გავლენას ახდენს კურიკულუმის წარმატებულ განხორციელებაზე. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ გამოვლენილი საკითხები და შესაძლებლობები ასახული იყოს შემდგომი ცვლილებების სახით როგორც კურიკულუმში, ასევე სამოქმედო გეგმაში. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით ადგენს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ მიმართულებებს, რომლებიც ინტეგრირდება როგორც სამოქმედო გეგმაში, ისე კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. ამასთან, მომავალში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შიდა ვერიფიკაციის სისტემის დახვეწას, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს შეფასების პროცესის სანდოობასა და ეფექტიანობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. კათედებთან გასაუბრების დროს და დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში ხდება გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის მიცემა, რეკომენდაციების განხორციელება. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია არა დასჯა-წახალისებად, არამედ მხარდაჭერის მექანიზმად

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა;
- უკუკავშირის ფორმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მონაცემთა შეგროვების პროცესი სკოლაში ეფუძნება ტრიანგულაციის მეთოდოლოგიას, რაც გულისხმობს მრავალფეროვანი წყაროებისა და მონაცემთა ტიპების ინტეგრირებულ გამოყენებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტესა და სანდოობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ეფექტიანობისთვის. საგნობრივი კათედრები სისტემატურად აგროვებენ და აანალიზებენ როგორც მოსწავლეთა მიერ შესრულებულ ნამუშევრებს, ისე აკადემიური მოსწრების სტატისტიკურ მონაცემებს. ამასთან, მონაცემთა ბაზას ემატება კლასის ხელმძღვანელების მიერ მშობლებთან/მოსწავლეთა წარმომადგენლებთან კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაცია, რაც ანალიზის პროცესს კიდევ უფრო მრავალმხრივს ხდის. მონაცემთა ანალიზი ხორციელდება სხვადასხვა მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით, მათ შორის, საგნობრივი კათედრების მიერ ფართოდ გამოიყენება SWOT ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა დეტალურად შეფასდეს როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და რისკები. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით, მომავალში დაგეგმილია კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, კერძოდ, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვების ჩატარება სტრუქტურირებული კითხვარების საშუალებით. ეს ინიციატივა მნიშვნელოვნად გააფართოებს მონაცემთა წყაროებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფისგან, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სიზუსტესა და სიღრმეს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესში სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კონტექსტის მრავალფეროვნებასა და მის გავლენას მოსწავლის აკადემიურ პროგრესზე. აღიარებულია, რომ თითოეულ შედეგს წინ უძღვის კონკრეტული გარემოებები და ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსწავლის ინდივიდუალურ მიღწევებსა და საჭიროებებს. ამდენად, შეფასების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლის ცხოვრების ყველა ის კონტექსტი, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს მის პროდუქტიულობაზე — იქნება ეს ოჯახური გარემო, სასკოლო სივრცე, საკლასო კლიმატი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული საგაკვეთილო სიტუაცია თუ სხვა სოციალური გარემო.(სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს) სრულყოფილი და ობიექტური ინფორმაციის მისაღებად სკოლა იყენებს მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლის პრაქტიკას. შეფასების მიზნიდან გამომდინარე, წინასწარ განისაზღვრება, რომელი კონტექსტები და ფაქტორებია რელევანტური კონკრეტული შემთხვევისთვის, რის საფუძველზეც ხდება მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ მიღებული შეფასება იყოს არა მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული, არამედ ასახავდეს იმ გარემოებებსაც, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინეს მოსწავლის აკადემიურ ან სოციალურ განვითარებაზე. მასწავლებლები, როგორც საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ფარგლებში, ასევე ყოველდღიურ საქმიანობაში, სისტემატურად აანალიზებენ თავიანთი ინტერვენციების ეფექტიანობას სხვადასხვა კონტექსტში. ეს გულისხმობს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური დონის ანალიზს — მაგალითად, კლასში არსებული კლიმატის, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, სასწავლო პერიოდის, თემის, საკითხის, მოსწავლეთა ინტერესებისა და მოტივაციის შესწავლას. ასეთი მრავალმხრივი ანალიზი მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, დროულად და ეფექტიანად დაადგინონ, რამდენად შეესაბამება მათი პედაგოგიური მიდგომები მოსწავლეთა საჭიროებებს და რა სახის ინტერვენციებია საჭირო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. გარდა ამისა, სკოლა მუდმივად ცდილობს გააფართოოს შეფასების პროცესში გამოყენებული კონტექსტების სპექტრი, რათა შეფასების შედეგები იყოს მაქსიმალურად სიღრმისეული, მრავალმხრივი და რეალობასთან მიახლოებული. ეს უზრუნველყოფს არა მხოლოდ ინდივიდუალური მოსწავლის, არამედ მთელი სასკოლო საზოგადოების საჭიროებების სრულფასოვან ანალიზს და შესაბამისი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მასწავლებლები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა სახის რუბრიკას, გეგმავენ მათ დახვეწასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით. ასევე გეგმავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას საკლასო წერის ინსტრუმენტის გამოყენებით. სკოლის თვითშეფასებიდან და დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება, მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. ასევე კურიკულუმებში ჩანს ის შუალედური პროდუქტები, რომელიც იძლევა მრავალფეროვანი შეფასების საშუალებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სსიპ - ქალაქ თბილისის 190-ე საჯარო სკოლაში შეფასების პროცესი ეფუძნება მულტიფაქტორულ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები ყურადღებას უთმობენ არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებსაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგების (მაგალითად, ფიზიკის მასწავლებელი) პრაქტიკა, რომლებიც მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ კომპლექსურ, მრავალმხრივ ანალიზს. საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგები ადგენენ მოსწავლის დიფერენცირებულ პროფილს, რაც გულისხმობს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებასა და ამ უნარებზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირებას. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს მაქსიმალურად ინდივიდუალიზებული და ასახავდეს მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და განვითარების დონის სრულ სურათს. გარდა ამისა, მასწავლებლები შეფასებისას ითვალისწინებენ როგორც დროით, ისე სივრცით პარამეტრებს, ეს ნიშნავს, რომ თითოეული შედეგი განიხილება იმ მრავალფეროვანი ფაქტორების კონტექსტში, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს მოსწავლის აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაზე. შესაბამისად, შეფასების პროცესი ხდება არა მხოლოდ შედეგზე, არამედ პროცესზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და პოტენციალის სრულფასოვან გამოვლენას. მოცემული მიდგომა მნიშვნელოვნად ზრდის შეფასების სიზუსტესა და სანდოობას, ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული და აკადემიური პროგრესის სრულფასოვან ანალიზს და ქმნის საფუძველს მიზანმიმართული პედაგოგიური ინტერვენციებისთვის.

ინიდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლების პრაქტიკის კვლევის ნიმუშები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- დამრიგებლის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დამრიგებლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სტრუქტურაში მკაფიოდ ჩანს, რომ სკოლა სისტემურად აფასებს მიმდინარე სასწავლო პროცესს, იდენტიფიცირებს საჭიროებებს და ამ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით გეგმავს შესაბამის აქტივობებს. გეგმა მოიცავს როგორც კურიკულუმის რევიზიასა და მოდიფიცირებას, ასევე ახალი პროგრამების შემუშავებას, რემედიაციისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დანერგვას, შეფასების სისტემის გაუმჯობესებას და ვერიფიკაციის მექანიზმების დანერგვას. გარდა ამისა, დოკუმენტში ასახულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის (საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, ინკლუზიური განათლების ჯგუფი და სხვ.) მონაწილეობა საჭიროებათა იდენტიფიცირებასა და რეკომენდაციების შემუშავებაში. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები, საჭირო რესურსები და ინდიკატორები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტიან მონიტორინგს. სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის გამოყენებას, კვლევითი ინსტრუმენტების (კითხვარები, გამოკითხვები) დანერგვას და მიღებული შედეგების ანალიზს, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს რეკომენდაციების პაკეტის ჩამოყალიბებას კურიკულუმის შემდგომი განვითარებისა და მხარდაჭერისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სსიპ - 190-ე საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმის სტრუქტურაში ნათლად ჩანს, რომ კურიკულუმის რევიზიისა და მოდიფიცირების პროცესი არ არის ერთჯერადი ან ფორმალური. იგი ემყარება წინა სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებსა და გამოწვევებს. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო და სხვა სტრუქტურული ერთეულები სისტემატურად აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს, აიდენტიფიცირებენ როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს და ამ ანალიზის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს კურიკულუმის განახლების ან ცვლილებების შესახებ. ასევე ითვალისწინებს უკუკავშირის მექანიზმებს — როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეებისა და მშობლების მხრიდან, რაც უზრუნველყოფს, რომ კურიკულუმის ახალი ვერსია რეალურად პასუხობდეს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს და იყოს ადაპტირებული არსებული გამოწვევების შესაბამისად. მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც საფუძველი სამოქმედო გეგმების, ასევე კურიკულუმის შინაარსობრივი და სტრუქტურული ცვლილებებისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

25..07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: